სახალხო გაზეთი

№ 912 პარასკევი, 7 თიბათვე 1913 წ. № 912

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო-ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა ,,შრომა''-ში, მუხრანის ქუჩა, და ეღირება 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და მ. მეტცლ და ამხ.-ის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება ,,სახალხო გაზეთი''-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე, საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახ. № 6. ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისთვის: ტფილისი, ქართული ,,სახალხო გაზეთი'' 190.

ტელეფონი №12-29

გაზეთის ფასი წელიწადში 8 მ. 50 კ., თვეში—75 კაპ.
ცალკე № ყველგან 5 კ., დამატებიანი—7 კ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა

სახალხო გაზეთი

ყოველკვირეული სურათებიანი დამატებით

პირველი თიბათვიდან წლის დამლევამდე, როგორც ქალაქში ისე ქალაქ გარედ ღირს 5 მ. 25 კ.

თვეში ღირს 75 კაპ.

არ მიიღება ხელის მოწერა ცალკე უდამატებოდ და არც სურათებიანი დამატება იყიდება ცალკე.

მისამართი: Тифлисъ, „Сахалхо газети" Почт. ящ. 190.

ქ. შ. წ.-კ. გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობა აცხადებს, რომ კვირას, 9 ივნისს, დიდუბის ეკლესიაში გადახდილი იქნება **წლის წირვა და პანაშვიდი** წ. კ. საზოგადოების საპატიო წევრის, განსვენებულის

იაკობ სვიმონის ძის
გოგებაშვილის

სულის მოსახსენებლად. წირვა დაიწყება დილის 9 საათზე, პანაშვიდი 11½ საათზე. 1340

ქ. ახალციხეში, მძიმე ავადმყოფობის შემდეგ, გარდაიცვალა

ეკატერინე პეტრეს ასული ზედგინიძისა,

რასაც გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ **მეუღლე მღვდელი ნიკოლოზი, შვილები: ივანე, ვლადიმერი და პლატონი ნიკოლოზის ძენი ზედგინიძეები, მარიამ ნიკოლოზის ასული ასათიანი, ოლღა ნიკოლოზის ასული გოგუა, ევგენი ნიკოლოზის ასული ხარაჯიშვილისა, ძმა პავლე პეტრეს ძე სხნიაშვილი და და სალომე პეტრეს ასული ვართანოვისა.** 335

ივანე ეგნატეს ძე გოგიაშვილი, შვილები: **სონა** და **მარო**, სიძეები: **დათიკო კახელაძე, ნიკო რამიშვილი**: შვილის-შვილები **ბენიკო** და **თამრო** მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ უდროვოდ გარდაცვალებას

დარო გრიგოლის ასულის გოგიაშვილისას,

პირველი ძვირფასი მეუღლის, მეორენი დაუვიწყარის დედის, მესამენი სიდედრის, ხოლო უკანასკნელნი—ბებიისა. პანაშვიდი დღეს საღამოს 7 ს. მიხეილის საავადმყოფოში, შაბათს კი საკუთარ ბინაზე. დაკრძალვა მოხდება კვირას კუკიის წმ. ნინოს სასაფლაოზე, გამოსვენება 9 ს-ზე, კირიაჩნის ქ. № 48. 338

ცირკი ძმ. აზგარცევისა.

მიხეილის პროსპექტი, № 131. ,,აპოლლოს'' თეატრის გვერდით,

პარასკევს, 7 თიბათვეს, გაიმართება **დიდი სახუმარო წარმოდგენა.**

დღეს დებიუტება საზღვარ-გარეთის საუკეთესო მსახიობებისა.

იშვიათი ამბავი! დებიუტი შესანიშნავ ,,**სპორტ ჯონგლერების ტრიოსი**'' **ბ. ადერფისა** ყველგან აღტაცება! ახალი ჟანრი! გამოსვლა **ქ-ნ ვინჩესტრისა** ისწრაფეთ ჰნახოთ!

დებიუტები განთქმულ სამუსიკო ექსცენტრიკებისა **ძმ. ზარდერსებისა** (Concert parisien) (პარიზის კონცერტი). გამოსვლა სიცილის მეფის მისტერ **ჯეკსონისა**. ნახეთ, ნახეთ!!

დღეს მონაწილეობენ საუკეთესო ძალები **ძმ. აზგარცევის** დირექციის ხელმძღვანელობით. ● **დასაწყის სრულ საღამოს 8-ნახევ საათზე.**

336 პატივისცემით **ძმ. აზგარცევი.** რეჟისორი **ა. ლოგა.**

კ. ი. ზუბალაშვილის სახელობის ქალაქის სახალხო სახლი

სახალხო სახლ. არს. ქართ. სახალხო წარმოდგენების მმართველი

წრის გამგეობა

კვირას, 9 ივნისს, 1913 წ., დილის 11 საათზე, სახალხო სახლში იწვევს

საზოგადო კრებას

შემდეგი კითხვების განსახილველად: 1) გამგეობის ანგარიში მიმავალ წლისა, 2) გამგეობის მოხსენება წესდების ზოგიერთ მუხლების ცვლილების შესახებ, 3) გამგეობის მოხსენება ქართ. სახ. წარმოდგენების უკეთესად მოწყობის შესახებ, 4) ხარჯთ-აღრიცხვა მომავლ 1913/14 წ., ახალი წევრების დამტკიცება, არჩევნები ახალი გამგეობის წევრებისა და სარევიზიო კომისიისა. წრის გამგეობის თავმჯდომარე **ეფ. მესხი.** 1160

გორის საზოგადოების
საურთიერთო ნდობის ბანკი

აცხადებს, რომ საზოგადოების

წევრთა მორიგი წლიური კრება

დანიშნულია **ამა 1913 წლის 9 ივნისს, ქ. გორში, შუადღის 11 საათზე, ბანკის სადგომში.**

განსახილველი საგნები:

1. 1912 წლის ანგარიშის განხილვა და დამტკიცება.
2. 1913 წლის ხარჯთ-აღრიცხვის განხილვა და დამტკიცება.
3. არჩევნები სამი საბჭოს წევრისა თ-დ გრ. ნიკ. ამირაჯიბისა, დ. რ. მაჭავარიანის და მ. ვ. ახალბედაშვილის ნაცვლად, რომელთაც ვადა გაუთავდათ.
4. არჩევანი გამგეობის წევრისა გ. დ. კვალიევის ნაცვლად, რომელსაც ვადა გაუთავდა.
5. არჩევნები სარევიზიო კომისიის სამის წევრისა და მათის სამი კანდიდატისა, რომელნიც შეამოწმეიენ 1913 წლის ანგარიშს.
6. საზოგადოების საბჭოს, მიმღები კომიტეტის და სარევიზიო კომისიის ჯილდოს შესახებ საკითხის გამორკვევა და მის რაოდენობის გადაწყვეტა.
7. საზოგადოების საბჭოს მოხსენება საქმეთა მდგომარეობის შესახებ.

1224

ქ. შ. წ.-კ. გამავრ. საზ. წიგნის მაღაზიაში

ისყიდება შემდეგი წიგნები:

ილია ჭავჭავაძე:		აი ისტორია	35 კ
კაცია ადამიანი?	20 კ.	ცხოვრება და კანონი	25—
გლახის ნაამბობი	20—	კრიტიკული წერილები	25—
ოთარაანთ ქვრივი	18	პოლემიკური წერილები	10—
ნიკოლოზ გოსტაშაბიშვილი	3—	**ახლად მიღებული წიგნები:**	
სახრჩობელაზე	5—	შიო მღვიმის სამი სიგელი სარ. კაკაბაძისა	0 კ.
მგზავრის წერილები	7—	ანდერძი დავით აღმაშენებელისა, შიომღვიმისათვის დაწერილი	20—
გლეხთა განთავისუფლების პირველ დროის სცენები	7—	სიგელი მსახურთ უხუცესის გრიგოლ სურამელისა, 1250 წ შიო მღვ. დაწერ.	15—
უცნაური ამბავი	4	მცხეთის საკათალიკოსო მამულების გუჯარი, 447—1448 წ გიორგი X ს მიერ ბოძებული	10—
რჩეული ლექსები	7		
განდეგილი	5—		
კაკო ყაჩაღი	5—		
დედა და შვილი	3—		
დიმიტრი თავდადებული			

ადრესი: Тифлисъ. Книжный магазинъ О-ва распр. грам. ср. груз. нас. 1217

ტფილისის კერძო სამკურნალო

ახლად გადაკეთების შემდეგ, ავადმყოფები მიიღებიან.

ქსენიევის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 7, მიხეილის პროსპექტისა და ვეტცელის სასტუმროს ახლო.

ტელეფონი № 590.

სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით, ცალკე ნომრებით და საერთო ოთახები განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.

მწოლიარე ავადმყოფთა მიღება შეიძლება ყოველ წამს, გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი **ექიმები-სპეციალისტები:**

შინაგანი სნეულებანი.	**მანსვეტაშვილი ვ. მ.** ორშაბ., ოთხშ. და პარასკ. 2—3 ს. **მალალაშვილი გ. გ.** სამშაბ. და შაბათობით 10—12. **მიქელაძე შ. ა.** ყოველ დღე 12—. ს. **ფედოროვი ე. გ.** ყოველ დღე, გარდა ოთხშ. და კვირისა 12—1. **ექ.-ქალ. ენგელ მელიქ-შახნაზაროვისა ე. ა.** სამ., ხუთ., შაბ. 11—12
ქირურგ. სნეულებანი.	**მარკევიჩი ვ. ლ.** კონსულტანტი ყოველ დღე 11½—12½. **მელიქიშვილი ნ. ა.** ყოველ დღე 10—1. **ფირალოვი რ. ბ.** ყოველ დღე 12—1.
ქალთა და ს. მშობ. სნეულებანი	ექიმი ქალი **ვერბიცკი-ფირალოვისა ლ.** ყოველ დღე 11—12. **თიკანაძე ი. ე.** ყოველ დღე 1—2. **მელიქიშვილი ნ. მ.** ყოველ დღე 10—. **სულაკოვი ა. ი.** ყოველ დღე —.
ბავშვთა სნეულებ.	**ექ.-ქალ. ბაქრაძე-დედ-ბრიშვილისა** ყ. დღე, გარდა ოთხშ. 1—1½ **მიქელაძე შ. ა.** ყოველ დღე 2—1 **ფედოროვი გ. ს.** ყოველ დღე გარდა ოთხშაბ. და კვირისა 12—1.
ნერვიულ. სნეულებ. და ელექ.	**გედევანიშვილი. მ. ა.** შაბათობით 10—11. **ჯავახიშვილი ნ. ნ.** ოთხშაბ., პარას. და კვირას 11—2 **ფონდოევი გ. ს.** ყოველ დღე 1—2
ყელ. ყურის და ცხვირ.	**ათენიანცი ნ. ა.** ყოველ დღე 12½—1½. **ორემბოვსკი ნ. ს.** ყოველ დღე 1½—2.
თვალის სნეულ.	**მუსხელიშვილი ვ. ს.** ორშაბათ., ოთხშ. და პარასკ. 2—2½.
კან. და ვენერ. ავ.	**დიასამიძე ა. ნ.** ყოველ დღე 11½—12½

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. სისხლის გასინჯვა, ათაშანგ. Wassermann. რჩევისათვის 50 კ. საწოლები 2 მ. დაწყებული. ცალკე ოთახი 5 მანეთიდან. მშობიარობა 10 დღე წოლით ღირს 40 მ. ოპერაციები, კონსულიუმი, შარდის ბუშტისა და მილების კატეტერიზაცია, ,,606'' და ,,914'' წამლის შეშხაპუნება, ელექტრონით წამლ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა, ზ ღავათიანი საფასურით. წ. 1035

ოქროს მედალი როსტოვის გამოფენაზე 1910 წ.

ბრიუსელის გამოფენაზე 1901 წ. GRAND PRIX.

შპალიერის (ОБОИ) ქარხანა
ძმ. ტარნოპოლევისა.

განყოფილება იმყოფება გოლ. პროსპ., № 21, ტელ. № 355.

მიღებული გვაქვს ძვირფასი საჩუქრები.

იყიდება რუსეთის ყველა ქალაქებში. ფასი ყველა (სრული ზომის 11¼ არშ.) შპალიერისა, საფაბრიკოა 8 კ. ვიდრე 6 მ. თოფი. ნიმუშები დაეთმობათ უფასოდ, როგორც ქალაქებში, ისე ქალაქ გარედ მცხოვრებთ.

ოქროს მედალი ოდესის გამოფენაზე 1910 წ. 1137

ოქროს მედალი ეკატერინოსლავის გამოფენაზე 1910 წ.

საბურთალოზე

მშვენიერ ალაგას

ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის მომავალ ხიდის მახლობლად დაიჭრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ხელმისაწვდენელ ფასებში.

მსურველთ შეუძლიანთ მიმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე **თაქთაქიშვილს**, დილის 8 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. საღამოს 5 საათიდან 8 საათამდე. უმორჩილესად ვთხოვთ მიწის მყიდველებს, რომ **თავის დროზე შემოიტანონ დარჩენილი ვალი**, თანახმად ჩვენგან მიცემულ კვიტანციისა. წ. 1220

ექიმი ნ. ნ. ჯავახიშვილი

ორდინატორად ნამყოფი კიევის ნერვების კლინიკაში. იღებს ნერვებით ავადმყოფებს საღ. 6—7 ს.-მდე. ჩერქეზიშვილის ქუჩა, № 12. **იქვე გამართულია ელექტრონის სამკურნალო კაბინეტი.** 324

ექიმი ივ. გომართელი პირველი ივნისიდან პირველ ენკენისთვემდე ავადმყოფებს მიიღებს **ბორჯომში.** აგარაკი მირზოევისა. 307.

ექიმი კბილისა **ნინო რცხილაძე**

იღებს დილით 9—2 ს. საღ. 5—7 ს., ოლღას ქუჩის შესახვევი № 5, სახ. მაკარაშვილისა.

ექიმი ი. ი. ბერიშვილი სწამლობს **საშარდე ორგანოთა, ათაშანგისა და კანის ავადმყ.; ვასსერმანის რეაქციით** იკვლ. ათაშანგ. მოწამლ. სისხლს. მიიღება ნაშუადღ. 3—5½ ს. **ელიზბედ. ქ. № 94, კიროჩნი ქუჩის ახლო, საფოსტო განყოფ. პირდაპირ.** 102

ექიმი ქუთაისში **ვ. თ. ტყეშელაშვილი.** ათ აპრილიდან ღებულობს ავადმყოფებს ახალ ბინაზე: ვიტუშინსკის სახლი, აფთიაქის უკან, პუშკინის ქუჩიდან შესახვევში. 1130

ვაგზლის კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვაგზლის ქუჩა. № 8. ტელეფონი № 695.

ე. ს. გაზაკიძე. ყოველ დღე, შინაგან-ავადმყ 9½ ს. 10 ს.

ა. ნ. დიასამიძე. ყოვ. დღე, კვირ. გარდა. სიფილ., კანისა და ვენერ. 11—1½ ს

ბ. ა. პოპოვი. ყოვ. დღე, კვირის გარდა. ყელ. ყურ. და ცხვ. სნეულ. 11—1½ ს.

ექ. ქალი იოსელიანისა—იღებს ქალთა ავადმყოფებს. სამშაბათობით, ხუთშაბათობით და კვირაობით 11—11½ ს.

ნ. მ. მელიქიშვილი. ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1—2 ს.

გ. გ. კლდიაშვილი. ყ.-დღ. შინაგ. 1—2 ს. მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური, ქიმიური გამოკვლევანი აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა ფასი რჩევისათვის 50 კ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით.

წამლობა ,,606''-ით 1053

სახელმწიფო სათათბირო

(დეპეშათა პეტერ. სააგენტო)

5 თიბათვის სხდომა

თავმჯდომარეობს თავ. **ვოლკონსკი**. შემოსულ საქმეთა შორის არის საკანონმდებლო მოსაზრება საერობო კრებისა და კავშირებისა.

განაგრძობენ ნომრობით განხილვას სახალხო განათლების სამინისტროს ხარჯთ-აღრიცხვისას. ხარჯთ-აღრიცხვის იმ ნაწილის განხილვაში, რაც „სახალხო სკოლების შენახვას და მის განსავითარებელ ზომებს" ეხება, მონაწილეობენ რუსანოვი, სუხანოვი, ქსენძი მაცეევიჩი და სხ. მიიღეს სხვათა შორის ციმბირის ჯგუფის სურვილი, რომ განაპირა ქვეყნებში მასწავლებელთა ქონებრივი მდგომარეობა გაუმჯობესდეს და შორეულ აღმოსავლეთში მეტი საშუალო სასწავლებლები გაიხსნას, ერთადერ სამასწავლებლო ინსტიტუტები.

განხილვის რიგშია ხარჯთ-აღრიცხვის მუხლი „ხარჯები პროფესსორების მოსამზადებლად".

მინისტრის თანაშემწე **ტაუბე**, ითვალისწინებს ხარჯთ-აღრიცხვის შესახებ კამათს და აღნიშნავს, რომ სამინისტროს წარმომადგენლის გამოსვლა სათათბიროს წინაშე ძნელია, რადგან როგორც მარცხნით, ისე მარჯვნიდან ერთნაირის მიკერძოებით ისმის ლაპარაკი. რა თქმა უნდა სამინისტროს არ შეუძლიან ყველა დააკმაყოფილოს. მინისტრის თანაშემწე კერძო კითხვას ეხება ახალგაზრდობის საპროფესსოროდ მომზადებისას, რომელთაც საზღვარ-გარეთ ჰგზავნიან. საბიუჯეტო კომისიამ 25,000 მ. ამ ხარჯისთვის უარჰყო და სცნო, რომ ხარჯთ-აღრიცხვის წესით ამ ხარჯების დამტკიცება არ შეიძლება და ახალი კანონ-პროექტი უნდა შემოიტანოს მინისტრმაო. მინისტრის თანაშემწე იურიდიულის მხრით უდგება საკითხს და დაასკვნის, რომ სამინისტროს შეუძლიან ხარჯთ-აღრიცხვის წესით მოითხოვოს და უამისოდ ახალი კანონ-პროექტით კანონის დარღვევას ვერ ავსცდებითო. სამინისტრო სერიოზულ საჭიროებად სთვლის პროფესსორების მომზადებას. სამინისტრო ამ გეგმას პარტიულ თვალსაზრისით არ უცქერის. მას ახსოვს, რომ ეხლა თავისუფალია 74 კათედრა და 184 პროფესსორის ადგილი, სათათბირო კი უნივერსიტეტების მომატებას ითხოვს. პროფესსორების ნაკლებობა მინისტრის ამა თუ იმ პოლიტიკის საქმე არ არის, რადგან პროფესსორთა რიცხვი ბუნებრივ მიზეზების გამო კლებულობს. აქამდის საზღვარ-გარედ ახალგაზრდებს ფაკულტეტები ჰგზავნიდნენ, მაგრამ ეს ზომა უვარგისი აღმოჩნდა, ამიტომ სამინისტრომ ის იღონა, რაც საჭიროდ მიაჩნდა. იმათ საპასუხოდ, ვინც აცხადებს ვითომ ეს ზომა არა პატრიოტული იყოს ან და რუსეთის მეცნიერების ღირსებას ამცირებდეს, მინისტრის თანაშემწე ტაუბე კატეგორიულ პროტესტს აცხადებს იმ რწმუნების შესახებ, ვითომ სამინისტრო საზღვარ-გარეთის სემინარიებში ლაქია - პროფესსორებს ზრდიდეს, რომელთაც ვითომ მომავალში დიდი კარიერა უზრუნველყოფილი ჰქონდეთ. ტაუბე სცდილობს დაამტკიცოს, რომ სამინისტრო მომავალ პროფესსორების რწმენაზე არავითარ გავლენას არ ახდენს. რადგან ამ 25,000 მ. მიცემის საკითხი სახელმწიფო საბჭოდან შემთანხმებელ კომისიას დაუბრუნდება, მინისტრის თანაშემწე იმედოვნებს, რომ ეს ხარჯი აღდგენილ იქნება, უამისოდ ისინი დაზარალდებიან, ვინც სამინისტრომ სტიპენდიატებად აირჩია (ტაში მარჯვნით).

გოდნევი ჰფიქრობს, რომ მინისტრის თანაშემწის სიტყვამ ვერ დააჯერა სათათბირო საბიუჯეტო კომისიის უკანონო საქციელში. ამ ხარჯის უარყოფა ერთად-ერთი გზაა, რომ თავისს ამ მოსაზრებას სამინისტრომ კანონიერი მსვლელობა მოუნახოს.

მილიუკოვი. იმ დროს, როდესაც ცარიელ კათედრების შესახებ ლაპარაკობენ, 30 ანუ 40 მაგისტრი და დოქტორი პოლიტიკის გამოისობით უადგილოდ არის. ტყუილია ამის შემდეგ წადილი, დაგვარწმუნონ, რომ მინისტრის მოქმედება ტეხნიკურ ხასიათისაა. ეჭვი არ არის, იმ ზარალის ნაწილს, რასაც მინისტრის ზომა მოიტანს, ცხოვრება გააქარწყლებს. ერთხელ, 30 და 40 წლებში ვცადეთ, მაგრამ არაფერი გამოვიდა. ეხლა სამინისტროს მზათა ჰყავს ახალგაზრდა კაცები, რომელთათვისაც ადვილადა სცლიან ადგილებს და რომელნიც სიამოვნებით იჭერენ სხვის ადგილებს. შეგროვება ახალგაზრდებისა, რომლებმაც ან დისსერტაცია ვერ დაიცვეს ან და სამეცნიერო ქურდობა ჩაიდინეს მშვენიერი პრეცედენტია იმათთვის, ვინც ეხლა იგზავნება საზღვარ-გარედ. ორატორი დაწვრილებით არკვევს უარყოფითი მხარეებს საზღვარ-გარედ გაგზავნისას და, სხვათა შორის, აღნიშნავს, ხშირად ახალგაზრდამ იმ ქვეყნის ენა არ იცის, სადაც მიდის. დასასრულ ორატორი ჰფიქრობს, რომ ბარონი ტაუბე იმდენად ავტორიტეტი არ უნდა იყოს მეცნიერებაში ან საზოგადოებრივ აზრის თვალში, რომ რუსეთის სამეცნიერო აკადემიაზე მაღლა იდგეს; ბარონ ტაუბე რაკი არც რუსია და არც სლავიანი, თავისუფალია საეროვნო ნაკლისაგან და ადვილად ლაპარაკობს სლავიანურ ერის ნაკლზე. საზოგადოთ ეხლა განათლების უწყების სათავეში მეტად განათლებული პირნი დგანან, შეიძლება ითქვას ყვავილები, მაგრამ არა რუსის კულტურისა, არც რუსის განათლებისა.

მინისტრის თანაშემწე **ტაუბე** კვლავ ამტკიცებს, რომ საზღვარ-გარედ გასაგზავნი ახალგაზრდები დანარჩენებისგან არ განირჩევიან. სამეცნიერო აკადემიის ხასიათი საეროვნო კითხვების დარგში შეიცვალა: ის უცხოეთის მეცნიერებას არ გამოეყოფება, საერთაშორისო კრებებსაც კი ჰმართავს. საპირადო საკითხის შესახებ ორატორი თავის ვინაობის ისტორიას ამბობს: მამით ძველ გერმანელთა გვარს ვეკუთვნი, დედით კი უფრო ძველ რუსის გვარს არხანგელისა და კოსტრომის გუბერნიებისას. თუმცა გერმანელთა გვარისა ვარ, რომელიც რუსეთსა და ხელმწიფეს ერთგულად ემსახურებოდა, ის თავის თავს რუსად სთვლის და სურვილს გამოსთქვამს, ყველა წევრი სათათბიროსი რუსეთს ისე ექცეოდეს, როგორც ის. (ძლიერი ტაში მარჯვნით).

ნეკრასოვი ფიქრობს, რომ სამინისტროს მიერ გაგზავნილ ახალგაზრდებს კატკოვის ლიცეის გათავებისა და უფროსებთან მოწიწებით მოქცევის მეტი არა მოეთხოვებათ რა. ისინი მხოლოდ ღირსეული მოწაფენი იქნებიან თავიანთ მასწავლებლებისა.

გელოვანს უკვირს ის ორმაგი საქციელი, რასაც ცენტრალური უწყება სჩადის: სამინისტრო აცხადებს, რომ ის პასუხს არ აგებს კავკასიის უწესოებაზე, რადგან კავკასიის ნამესტნიკისგანაა ყველაფერი დამოკიდებულიო. მეორე მხრით, როდესაც ნამესტნიკი საზოგადოებრივ აზრს უთმობს და შუამდგომლობს განათლების კერა დაარსდეს კავკასიაში, ამგვარ შუამდგომლობას უწყება გადაჭრით ეწინააღმდეგება.

პურიშკევიჩი მინისტრის თანაშემწის მოსაზრებას მეტად საფუძვლიანად სცნობს და მილიუკოვის გამოსვლაში ჰხედავს მარტო შურსა და ბოღმას შეურაცყოფილ დამარცხებულისას, მისი ველურ, საბრალისისა და უნიჭო ნაშრომის გამო.

თავმჯდომარე ორატორს აფრთხილებს მკაცი სიტყვებისთვის.

პურიშკევიჩი განაგრძობს და აცხადებს, რომ მისსა და სათათბიროს სამი მეოთხედისთვის სულერთია როგორი სისხლი სდგას ბარონ ტაუბეს ძარღვებში. ჩვენთვის ის კმარა, რომ ის მთლიანი რუსული აზროვნების კაცია, რომ-

ლიც თანდათანობით სკოლაში იმ პოლიტიკას ატარებს, რომელიც საუკეთესო და უსაჭიროეს ნაწილმა რუსის საზოგადოებისამ მოიწონა. რაც შეეხება სამეცნიერო აკადემიას, 30 წლის წინად დიდად პატივცემული იყო, მაგრამ რაც ბოდუენდე-კურტენემ დალის ლექსიკონს დაჰმართა და კარეევის საზიზღარი სიტყვების შემდეგ, რომ მოძველებული სიტყვა „რუსეთი“ უნდა გადავაგდოთო, აღარ შეიძლება აკადემიის არც მიუკერძებლობაზე ლაპარაკი და არც მისგან ძველ გადმოცემათა დაცვაზე.

ორატორი ამტკიცებს მიზან შეწონილობას ახალგაზდობის საზღვარგარედ გაგაზავნისას, რადგან ისინი დაბრუნდებიან თუ არა რუსეთს, იმ პროფესორების წყებას შეადგენენ, რომელიც შეებრძოლება გამხრწნელ სულს ებრაელ—პროფესორებისას, რომელნიც გამდიდრებას სცდილობენ ღ საწყალ რუსის სტუდენტობის გაძარცვას არ ერიდებიან. როდესაც სახალხო განათლების მინისტრის მტკიცე მარჯვენა და მისი ამხანაგები უმაღლესს სასწავლებელში წეს-რიგს ხელ-ახლად აღადგენს, მაშინ, შეიძლება დაუბრუნდეთ ძველ წესს კათედრებზე იმ ხალხის დანიშვნისას, ვისაც შეუძლიაც მშვიდობიანად ისწავლოს სახლში და უნივერსიტეტის კათედრიდან სხვებსაც ასწავლოს. (ტაში მარჯვნით).

მიტროვილოვს სამწუხაროდ მიაჩნია ის გარემოება, რომ ეკატერინეს დროების კათედრებზე დანიშვნას უბრუნდებით, მაგრამ რუსის ბუნება გამძლეა და მალე შეეჩვევა უცხოეთს, ამიტომ რაკი კათედრები ცარიელია, წუხილით უნდა დავთანხმდეთ პროფესორების საზღვარგარედ მომზადებას. (ტაში მარჯვნით).

ხარჯთ-აღრიცხვის ყველა მუხლები მომხსენებელ **კოვალევსკის** წინადადებისამებრ მიიღეს.

ვორონკოვის სურვილი მიიღეს, რომ მომავალ წლიდან ხარჯთ-აღრიცხვაში შეტანილ იქმნას ცალკე ხარჯი მასწავლებელთა ურთიერთის დამხმარე საზოგადოებისათვის შვილების აღსაზრდელად და მასწავლებლების ბავშვებისთვის შენობების აშენებისთვის.

მიიღეს ფორმულა საბიუჯეტო კომისიისა, მალე იქმნას შეტანილი სათათბიროში ახალი წესდება საშუალო სასწავლებლებისა, რომლის შემუშავებაში საზოგადო და სახაზინო დაწესებულებებმა უნდა მიიღონ მონაწილეობა; გაადვილდეს კერძო პირების მიერ სასწავლებლების დაარსება.

მიიღეს ნაციონალისტების ფორმულა, რომ სკოლას მიეცეს ნაციონალურ-რუსული ხასიათი.

სახალხო განათლების სამინისტროს ხარჯთ-აღრიცხვის განხილვა დამთავრდა.

მდივნის თანაშემწედ არჩეულ იქნა რჟევსკი 159 ხმით წინააღმდეგ 91. (ტაში მარცხნივ და ცენტრში).

საღამოს სხდომაზე თავმჯდომარეობს **თავ. ვოლკონსკი**.

დემჩენკოს მოხსენებით სათათბირომ მიიღო სად. მერეფიდან ხერსონამდის რკინის გზის პროექტი.

შემდეგ სათათბირო იხილავს სახელმწიფო საბჭოდან დაბრუნებულ პროექტს ქალაქების რეფორმების შესახებ პოლონეთის სამეფოს გუბერნიებში.

კანონ-პროექტი საჩქაროდ იცნეს.

სვეჟინსკი აღნიშნავს, რომ საბჭოს გადაწყვეტილება პოლონურ ენის განდევნის შესახებ შეურაცხყოფაა პოლონელების ღირსებისა. ეს—აუტანელი შეურაცხყოფაა ხალხისა, რომელიც აფასებს თავის ენას.

თავმჯდომარეობს **ლვოვი**.

შჩეპკინი ამბობს, ვისაც ძვირად უღირს ადგილობრივი თვითმმართველობა, ის ხმას არ მისცემს საბჭოს მიერ წარმოგზავნილ პროექტს, რომელიც შეცვლილია მის ნება-სურვილზე. სათათბირო თუ ამ გზას დაადგება, და საბჭოს დაემორჩილება, მაშინ ის საბჭოსთან არსებულ დაწესებულებად გადიქცევა სათათბირო ხმით. ამომრჩეველთ ეს უცნაურობად ეჩვენებათ, უფრო მეტად, რადგან თქვენ—ამბობს ორატორი,—გამოგზავნეს აქ კანონსადებლად და არა სალაქიოდ (დიდი ხმაურება და პროტესტი მარჯვნივ; ხმები: გამორიცხეთ ეგ!).

თავმჯდომარე სთხოვს შჩეპკინს ტრიბუნა დასტოვოს და სტენოგრამის გაცნობის შემდეგ წინადადებას იძლევა სრულებით შეუფერებელ სიტყვებისთვის შჩეპკინი დაითხოვონ 5-სხდომიდან. (ტაში მარჯვნივ და ცენტრში).

შჩეპკინი აღიარებს, რომ ის სიტყვა არა პარლამენტარული იყო და ემორჩილება თავმჯდომარის გადაწყვეტილებას და იმედოვნებს, რომ პრეზიდიუმის ამგვარი მოქცევა სხვა ფრაქციების წარმომადგენლებსაც არ ასცდებათ.

თავმჯდომარე კენჭს უყრის შჩეპკინის გარიცხვის საკითხს. ხმაურება, პროტესტი მარცხნივ, ხმები: გთხოვთ გამოაქვეყნოთ კონტექსტი!

შჩეპკინის დათხოვა მიღებულ იქმნა ოპოზიციის წინააღმდეგ.

ფრიდმანი აცხადებს, რომ ებრაელები რადგან ქალაქებში პოლონელ უმცირესობისაგან დაჩაგრულია, წინააღმდეგია პროექტისა.

მასლიანიკოვი აცხადებს, რომ პროექტი ებრაელებს მეტად ზღუდავს. წინადადება მიიღეს კამათის მოსპობისა.

იაგელლო აცხადებს, რომ სოც.-დემ. წინააღმდეგნი არიან პროექტისა.

თავმჯდომარეობს **როძიანკო**.

ალექსეევი ამბობს, რომ ნაციონალისტები წინააღმდეგნი არ არიან პროექტისა, მაგრამ ზოგიერთ მუხლებს არ ეთანხმებიან. ისინი მხარს დაუჭერენ რუსულ ენის განმტკიცებას, მისი მნიშვნელობის ამაღლებას და რუს მცხოვრებთა ინტერესების დაცვას.

როდიჩევი წინააღმდეგია კამათის მოსპობისა. ამგვარად მიღებული კანონ-პროექტი მშვიდობას კი არა ხმალს მოიტანს. ორატორი იძულებულია მუხლობრივ განხილვის წინააღმდეგ წავიდეს.

კერენსკი აცხადებს, რომ შრომის ჯგუფელები წინააღმდეგ არიან მუხლობრივ განხილვაზე გადასვლისა. ორატორი პოლონელ დეპუტატების საქციელს ყურადღებას აქცევს, რომელნიც ცენტრთან ერთად ჰმოქმედებენ და გვთხოვენ კამათის მოსპობაზე ხმა მივცეთ. ეს წარმომადგენელნი პოლონეთის ერისა—თავის ხალხის მოღალატენი არიან.

თავმჯდომარე კერენსკის სიტყვას ართმევს.

გარუსევიჩი ამბობს, რომ პოლონელებმა ხმა მისცეს კამათის მოსპობის წინააღმდეგ (ხმაურობა, პროტესტები, ხმები: „თქვენ ოქტომბრისტებს სთხოვეთ!“). პოლონელები იძულებულნი არიან ამ დამახინჯებულ კანონ-პროექტის მიღებას ხმა მისცენ, რადგან აუტანელ მდგომარეობაში არიან. პოლონელებს ესმით, რომ უფლების მხრივ პოლონურ ენას ჰკარგავენ, მაგრამ იმედოვნებენ, რომ სათათბირო, როგორც წარმომადგენელი არამც თუ გონებისა, რუსის ხალხის სინდისისაც, ბოლოს მისცემს პოლონელ ხალხს, რაც მას ერგება.

მუხლობრივი განხილვა მიღებულია 189 ხმით წინააღმდეგ 56.

შემდეგი სხდომა ხვალ არის.

ახალი ამბავი

ტფილისი

◆ **სახელმწიფო სათათბიროს წევრის სახელის მითვისება.** 3 ივნისს ყორღანოვის ქ. მცხოვრებმა, სამსახ. გარეშე მყოფმა პოლკოვნიკმა ფედოროვმა განუცხადა მაძებარ პოლიციის უფროსს შემდეგი: მასთან მივიდა ვიღაც კაცი, რომელმაც თავის თავს უწოდა სახელმწიფო სათათბიროს წევრი შუბინსკი და სთხოვა გადაებეჭდა წერილი ვიღაც ნიკოლოზ ანასტასიევიჩის სახელზე და დასაბეჭდად გადასცა ბლანკები, რომელზედაც ეწერა: ნიკოლოზ პეტრეს ძე შუბინსკი, ნაფიცი ვექილი, სახელმწიფო სათათბიროს წევრი. წერილი ფედოროვმა მაშინვე დაბეჭდა საწერ მანქანით. შემდეგ უცნობმა ამოიღო რამოდენიმე ასლი ოდესის სამოსამართლო პალატის განჩინებისა ბესარაბიის მემამულე ვარტიკის კანონიერ მემკვიდრეთა დამტკიცების შესახებ და სთხოვა გადაბეჭდა და დაუნიშნა დრო. როცა ფედოროვი წერილსა ჰბეჭდავდა ჰკითხა უცნობს, მისი ძმა არის თუ არა გენერალ-მაიორი შუბინსკი, მან უპასუხა: დიახ, ჩემი ძმა გახლავსო. შემდეგ ფედოროვმა ჰკითხა: ამ ჟამად, როცა სახელმწიფო სათათბიროში დიდი მუშაობაა, თქვენ ტფილისში რას აკეთებთო? უცნობმა მიუგო, საქმეებისა გამო ვარ ჩამოსული ტფილისშიო. უცნობმა წაიღო წერილი და წავიდა, მაგრამ დანიშნულ დროს განჩინების ასლის მისაღებად არ მოვიდა. ფედოროვმა მიმართა გენერალ შუბინსკის, რომელიც „ფრანცია“ ს სასტუმროში სცხოვრობს, რომლისგანაც გაიგო, რომ მისი ძმა, სახელმწიფო სათათბიროს წევრი, პეტერბურგშია და ტფილისში არც კი ჩამოსულაო. პოლკოვნიკ ფედოროვმა დაუწყო შემდეგ ძებნა იმ უცნობსა და აღმოაჩინა კიდეც: იგი აღმოჩნდა სამსახურს გარეშე მყოფი წვრილი მოხელე ნიკოლოზ კარა-მოსკო, მცხოვრები ელისაბედის ქ. როგორც გამოირკვა კარა-მოსკოს ფედოროვის მიერ გადაბეჭდილი წერილი, სხვა საქმის ქაღალდებთან ერთად გადაუცია თავის ნაცნობ ანტონ კელერისათვის და უთხოვნია სესხად ფული. ამასთანავე გამოირკვა, რომ კელერისა და კარა-მოსკოს წინააღმდეგ აღძრულია საქმე ნოვოჩერკასკის გამომძიებელთან, რომლითაც ისინი სისხლის სამართლის ძალით პასუხის გებაში არიან მიცემულნი არ არსებული ნავთის სამრეწველოს 7 ათას მანეთად გაყიდვისათვის. იმათ ჰქონიათ სხვა და სხვა ყალბი საბუთები, რომლითაც ამტკიცებდნენ, რომ მათ აქვთ ტფილისის მაზრაში—ყარაიაზში, და სიღნაღისაში—ბოდბისში, ნავთის სამრეწველოები და ჰყიდნენ კიდეც მოტყუილებით. კარა-მოსკოს შესახებ გამოძიება მოახდინეს და საქმე გადასცეს სასამართლოს.

◆ **ქუჩების განათება.** მუხრანის ქუჩის მცხოვრებლებმა განაცხადება შეიტანეს ქალაქის საბჭოში, რომლითაც ისინი უჩივიან საბჭოს მუხრანის ქუჩაზე განათების მოუწესრიგებლობას. საქმე იმაშია, რომ სანამ ქალაქი აიღებდა ამ ქუჩის განათებას, აქ ექვსი დიდი ნავთის ფანარი იყო, ახლა კი ეს ფანრები ჩამოხსნეს და მხოლოდ ერთი ელექტრონის ფანარი დაჰკიდეს. დიდი ნაწილი ამ ქუჩისა გაუნათებელი დარჩა და მცხოვრებნი წყვდიადში იმყოფებიან.

◆ **სოფლის მავნე ჩვეულებათა წინააღმდეგ ბრძოლა.** მეფის მოადგილისა და ქუთაისის გუბერნატორისაგან საპატიო მოქალაქე ვარდენ ძიძიშვილს ნებართვა აუღია მოიწვიოს ოზურგეთის მაზრაში სოფლის ყრილობები და გამართოს თათბირი სოფლის სხვა და სხვა მავნე ჩვეულებათა წინააღმდეგ ზომების მიღების შესახებ. სხვათა შორის ძიძიშვილს აზრად აქვს იქონიოს მსჯელობა ქორწილისა, დამარხვისა და საეკლესიო დღესასწაულების ზედმეტი ხარჯების შემცირებაზე. ბ. ძიძიშვილი დღეს მიემგზავრება ტფილისიდან ოზურგეთს და შეუდგება ყრილობების მოწვევას.

◆ **სასალახოს მოწყობა.** ტფილისში ჩამოვიდა მოსკოვიდან ქალაქის გამგეობის მიერ მოწვეული სპეციალისტი ინჟინერი რუდოვი, რომელსაც მინდობილი აქვს ქალაქის ახალ სასაკლაოსთან გასაციებელის მოწყობა.

◆ **ხელსაქმის კურსები.** დღეს ტფილისის ვაჟთა მეორე გიმნაზიასთან არსებულ ცენტრალურ პედაგოგიურ მუზეუმის შენობაში გახსნილ იქმნა ხელსაქმის კურსები. კურსებში ირიცხება 120 კაცი—ქალაქისა და სოფლის სკოლის მასწავლებელნი.

◆ **მეფის მოადგილის გამგზავრება.** 5 ივნისს ღამით ტფილისიდან ბათომს გაემგზავრა მეფის მოადგილის თანაშემწე შატილოვი. მეფის მოადგილე ბათომიდან ამ დღეებში მიდის თავის მამულში ნოვოტომნიკოვოში, ტამბოვის გუბერნიაში. შატილოვი თან მიჰყვება მეფის მოადგილეს.

◆ რედაქციამ მიიღო ჟურნალ **„ნაკადულის“** მაისის ნომერი მოზრდილთათვის შემდეგის შინაარსით: ილია ჭავჭავაძის ძეგლის სურათი. გამოზაფხულდა,—ლექსი ს. ფაშალიშვილისა, მოვიტანე,—მოთხრობა ირ. ევდოშვილისა. ფარნაოზ მეფე,—ისტორიული მოთხრობა ვ. როსტომაშვილისა. უძველეს დროის ბავშვის თავგადასავალი, მოთხრობა ე. დერვილისა, (გაგრძელება) თარგ. მარიამ იაშვილისა. გულუბრყვილო ბუზი,—(იგავ-არაკი) დავ. კილოსანიძისა. ილია ჭავჭავაძის სურათი. სიკვდილით სიკვდილის დათრგუნვა,—(ილია ჭავჭავაძის ხსოვნას), ილია ნაკაშიძისა. ტერმიტები,—(თარგმ.) მინადორა ტოროშელიძისა. საქართველო,—რწმენანი და ჩვეულებანი, (დასასრული) მ. ჯანაშვილისა. ტროადის ომი,—(გაგრძელება) ალ. მიქაბერიძისა. გასართობი: შარადები, რებუსი და ახსნა. მცირე წლოვანთათვის. გასაჭირი—სურათი, გუგული და შაშვი ლექსი სიხარულიძისა. ბაბოს სიხარული, მ. გარიყულისა. ჩიტ ბელურა ზღაპარი დ. ძმისტარაშვილისა. მეტიჩარა ირ. ფერაძისა. სახუმარო ამოცანა, შარადა, რებუსი და გეოგრაფიული ამოცანის და რებუსის ახსნა. ჟურნალი ჩვეულებრივად შნოიანად და სუფთად არის გამოცემული.

სასწავლებლებში

◆ **ტფილისის სამასწავლებლო ინსტიტუტი წელს 29 კაცმა** გაათავა. მათში: 21 რუსია, 4 ნემ[illegible] ესტონელი, 1 ბერძენი, [illegible] ქართველი: **ა. კაგაძე** და **ვ. გუდაძე**. თუ მომავალ ენკენისთვეში არავინ მიიღეს, ინსტიტუტში ორი ქართველი მოწაფის მეტი არ იქნება.

◆ **ტფილისის ვაჟთა მესამე გიმნაზია წელს 51 კაცმა** გაათავა, მათ შორის 7 ქართველია: წერეთელი სიმ., ტულაშვილი ნიკ., სიხარულიძე ვიქტ., იოსებაშვილი ლევ., თარხან-მოურავი ბორ., თევზაძე შალვა და მიქაძე ლევან.

◆ **ქალაქის სახელოსნო სასწავლებელში.** წელს სწავლა დაამთავრეს: ს. არუთინოვმა, დ. ამიზაძემ, ა. ბაგიანმა, ა. ბიაშვილმა, ა. გასპარიანმა, ი. დავიდოვმა, ა. დიასამიძემ, ა. ჯანაშვილმა, ფ. ლეჟავამ, ა. ლინკოვმა, კ. ლახოვმა, ს. პოპანდოპულომ, ვ. სანიკოვმა, გ. სტეფანოვმა, ბ. სულაძემ, ი. თოდრიამ, რ. ხარებოვმა, ს. შილაკაძემ, ნ. ალამიძემ, ა. ვასილიევმა, ა. გლინსკიმ, მ. მიკირტუმოვმა, ა. სალთანოვმა, ს. ებიაშვილმა, ი. გიუთაშვილმა, ი. ლუზიანმა, ვ. ფერაძემ, კ. ფერაძემ, კ. სანაძემ და კ. ხუდავერდიანმა. სულ 30 კაცმა.

სოფლად

◆ როგორც გადმოგვცეს, სოფელ მეჯვრისხევში, უსანეთობა დღეს, **სანდრო კვალიაშვილს** ერთი კაცი მოუკლავს და მეორე მძიმედ დაუჭრია.

„განათლების“ საზოგადოების საზოგადო კრება

კვირას, 2 ივნისს, მოხდა საგანგებო საზოგადო კრება „განათლების“ საზოგადოების წევრებისა. კრება გახსნა გამგეობის თავმჯდომარემ ქ-ნმა **ა. თუმანიშვილმა-წერეთლისამ**, რომლის წინადადებით კრების თავმჯდომარედ ერთხმად არჩეულ იქმნა თავ. **ი. ო. ბარათაშვილი**.

თავმჯდომარის წინადადებით ფეხზე ადგომით პატივი სცა განსვენებულის **არჩილ ჯორჯაძის** ხსოვნას, შემდეგ განსვენებულის **ი. ჯაბადარის** ხსოვნას.

შემდეგ წაკითხულ იქმნა გამგეობის მოხსენება, რომ მომავალ სამოსწავლო წლის დასაწყისიდან ტფილისში გახსნილ იქნას ქალთათვის სამხატვრო-სახელოსნო სასწავლებელი სამის წლის კურსით. სკოლაში მიიღებენ იმ მოწაფეთ, რომელნიც „განათლების“ პროგიმნაზიაში შესაფერ პირველ-დაწყებით მომზადებას დაასრულებენ. სკოლა დაექვემდებარება ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს. ამ საკითხმა კამათი გამოიწვია, ასეთი სკოლის წინააღმდეგნი ძლიერ ცოტანი აღმოჩნდნენ; ისინი ამტკიცებდნენ, რომ

ყვავილებში

7. *)

ზაფხული იყო. საპატიო სტუმარი ეწვია პატარა ქალაქს და იქაურმა ქართველობამ თავი გამოიჩინა. იცოდნენ, სად გაემართად მეჯლისი ამისთანა შემთხვევაში: აქ თვით განგებისაგან იყო ამორჩეული ამისთანა ადგილი. არ ვიცი, რად ეძახდნენ ამ ადგილს „სანებივროს“, მხოლოდ განცხრომისათვის ამაზე უკეთესი კუთხის შეთვალიერება შეუძლებელი იყო იმ არეში.

ქალაქგარეთ ძველ ეკლესიის ნანგრევებს გულში თუ თხემზედ ხეები ამოსვლოდა და მაყვლოვანი გადაჰბუროდა: ნაშთს გარშემო ფართე გალავანი ერტყა ნახევრად დანგრეული; ეზოში რამდენიმე ხნიერი ხე იდგა ჩაფიქრებული და მათ შორის დიდებული ჭანდარი, მშვენება იმ არე-მარესი. საყდრის გვერდზე წყარო გამოდიოდა, რომელსაც გადმოხურული ჰქონდა ძველებური ქვითკირი და დატანებული თლილი ქვა ჟამთა ვითარებისაგან წაშლილი ზედწარწერით; მხოლოდ სამი სიტყვის გარჩევა-ღა შეიძლებოდა: „ცრემლნი თვალთა ჩემთანი“... წყალი პატარა გადმოწანწკარებდა, გარნა ანკარა, მყინვარი, რძესავით შემრგო. ცრემლის წყაროს ეძახდნენ. დიდებული სურათი იშლებოდა თვალ-წინ მდინარის და თვალწარმტაცის ბუნებისა. რა ჰაერი! რა მადა! ეშხში მოჰყვანდა ადამიანი. აქ უღვინოდაც ითვრებოდა კაცი, ხოლო ღვინო ცათამდინ აწევდა მას და მიუთხრობდა მის ცოდვილ ყურს სიტყვას გამოუთქმელს, ჰანგს გარდუვალს.

გახსნა თვითეულმა თვისი სალარო და გულუხვად გამოიტანა თვისი საუნჯე მეჯლისის შესამკობლად და ასაყვავებლად: ვინ ხოტბა შესძღვნა ძვირფას სტუმარს და თავის ენაწყლიანობით მოხიბლა თავისი თავი თუ მსმენელი, ვინ ლექსი თქვა ხმატკბილად შეწყობილი, ვინ იმღერა; ამან საგულისხმო სადღეგრძელო წარმოსთქვა, იმან ფრთა-ასხმული სიტყვები ააფრიალა სუფრაზე; ზოგმა იცეკვა, ზოგმა სმით ისახელა თავი: არავის არ დაუზოგია თავისი ნიჭი თუ უნარი. გაიტაცა მათმა გულუბრყვილო სიხარულმა მოსულიც, გაზაფხულის მერცხალივით აჭიკჭიკა ენატკბილი.

გათავდა მეჯლისი. აიშალა ხალხი და თავისუფლად განიბნა ვრცელ მინდორზე. დაწყვილდა ახალგაზრდობა. აღტაცებულ ქალ-ვაჟს ენა ასცროდათ და თავისუფლად უზიარებდნენ ერთმანეთს თავის ოცნებას და გულისძგერას.

გახარებული ბაბუცაც ჩაბმულიყო საერთო ფერხულში და აჰყოლოდა მწყობრ ფეხის-ხმას: მასაც ეშოვნა რაინდი, განეცალკევებინა და გატაცებული ესაუბრებოდა მას. აჩქარებულ სისხლს აევარდისფერებინა ქალწულის ლოყები, წამოკარკლული დიდრონი თვალები ანთებოდა სურვილთა ალით და მისი ისეც ფაქიზად მოხაზული სახე სანდომიანი შექმნა. ღვინით გაჟღენთილ ვაჟკაცს ძალას ატანდა სურვილთა ჩქროლვა და საუბრის დროს უნებლიეთ ჰხრიდა ქალისაკენ. გასცდნენ გალავანს, გადიარეს ვაკე; ბექობს რასმე ჩაეფარნენ. ქალის ხმას მეტი თრთოლვა დაეტყო, მის აღვივებულ გულ-მკერდს მეტი მღელვარება; იგი უნებლიედ ახლო მიდგა ტოლთან, მიეკრა, შეეხო. ცეცხლი დააფრქვიეს ჭაბუკის თვალებმა; მან მოხვია ქალს მკლავი თავისკენ მისაზიდად, და მსწრაფლ უკუდგა შეკრთალი: მისი მკლავი შეეხო ქალის კუზს და შეაკრთო ჭაბუკი, გამოაფხიზლა ანაზდად; შეაჟრჟოლა იგი, თითქო ლეღვის კრეფაში ფოთოლზე მჯდომ მყვარს მოავლოვო ხელი. ქალმა ელდას სისწრაფით იგრძნო, რაც მოხდა ვაჟის გულში და გაფითრდა; ერთ წამს შესდგა უძრავად, მერმე გატრიალდა და ტორტმანით გაემართა სახლისკენ.

8.

მიდიოდა ბაბუცა სამხიარულო არედან, როგორც სასიკვდილოდ დაკოდილი რამ ნადირი იმ ადგილიდან, სადაც შეემთხვა მას ხიფათი. ვეღარაფერი აზრი ვერ გაერკვიენა უეცრად დადუნებულს და უნარმოკლებულ მის ტვინს. უკიდურესმა გათახსირებამ გრიგალივით გაურბინა მას სულში და თან გაიტანა ყოველივე ფიქრი; საბოლოვო შეურაცხყოფა მისი ახალგაზრდობისა, მისი ქალობისა, მთელი მისი პიროვნებისა მძიმე ტვირთად დასწოლოდა მას, მიწამდის დაეხარა მისთვის თავი, წელში გაეღუნა, მუხლში გაეშალნა და უბნევდა ფეხის დგმას, არწევდა წასაქცევად.

შეიკეტა ქალი თავის ოთახში და წაეგდო პირქვე. ეხლა კი გადმოხეთქა შეურაცხყოფამ შეუწყვეტელ ნაკადად ცრემლისა. ატირდა ქალი მწარედ, მოთქმით, გულსაკლავად. და ამ ცრემლთა ღვარმა წალეკა ყველა მისი ოცნება, იმედი, სიხარული თუ სიყვარული. გამოიტირა ბაბუცამ თავის ახალქალობა და შავ მიწას მიაბარა იგი საუკუნოთ. გამოიფიტა მთლად მისი არსება და შესწყდა ცრემლთა დენაც. ადგა, მიავლ-მოავლო თავის ოთახს თვალი და თითქო ვეღარ იცნო ის: სულ სხვა სახე მიეღო ყველაფერს, გაცრიატებულიყო, ჰაზრი დაჰკარგოდა, ეშხი ჩამოჰშორებოდა. აქამდინ რომ მოსწონდა აქ რომელიმე კუთხე თუ ნივთი და უალერსებდა მას, ეხლა ისინი აღარავითარ შთაბეჭდილებას არ ახდენდნენ მასზე, აღარას ეტყოდნენ არც მის გრძნობას, არც მის ფიქრს. გაიხედა სხვა ოთახებში, კარმიდამოზე; აქაც აღარაფერს მიეკარა მისი გული, ყოველივე უცხო ეჩვენა მის გონებას და უცნობი: წამოცალიერებულიყო მისი არსება, ნაჭუჭს რასმე დაჰგვანებოდა უგულოს, უხმარს, გადასაგდებს.

— გადასაგდებს? უკვე გადაგდებულს! მაშ რაღა ვარ აწ, თუ არ გადაგდებული, ღვთისაგანაც და კაცისაგანაც უარყოფილი, უსარგებლო, უხმარი, ცოცხლივ მკვდარი?!

„მკვდარი“ ამ სიტყვამ მიიქცია თავისზედ გაწამებული ქალის ყურადღება, იგი სიტყვა გაშუქებული ასოებით დაეხატა მის გონებას და უღიმოდა, თავისკენ იზიდავდა.

— მკვდარი ვარ ცხოვრებისათვის, მაშ რა ვარ, როცა გოგიამაც კი უარმყო, სხვის ლუკმით გამოზრდილმა, სხვის ხელში შემყურებელმა გოგიამ! როგორ მსწრაფლ გამოფხიზლდა და ელდანაკრავი გადგა გარე, როცა შეეხო ჩემს სიმახინჯეს! მერე რა არის გოგია? მხოლოდ ტანი უხინჯო და ძლიერი, სხვა არაფერი. იმ ვაჟკაცთა გ ნაკიდმაც კი არ მიმიღო და მისი სახით უარმყო საბოლოვოდ მთელმა ცხოვრებამ, განმაძო გარე. სიცოცხლისა და ცხოვრების გარე კი მხოლოდ სიკვდილია.

— უჰ, როგორ მაწვევს გულზე ნეტა რა მიღრღნის შემძიმებულ გონებას ესე უწყალოდ, რა მიხვრელამს მას შეუდრეკლად?—თქვა ქალმა და მიმოავლო თვალი.

კედელზე მისი მამის იარაღი ეკიდა. დამბაჩის ტარი ჰკიალებდა ჩამავალ მზის სხივზედ. ქალმა გაუშტერა მას თვალი და უეცრად მიხვდა, რა ჰაზრი იყო ის, რომელიც ბურავსავით ჰხვრელამდა მის ტვინს და ისწრაფოდა გამოსულიყო ცნობიერებით განათებულ არეზე.

— ცხოვრებისაგან უარყოფილს, ბუნებისაგან დაჩაგრულს და განწირულს სიკვდილი მიგიღებს სიყვარულით, მიწა ჩაგიკრამს გულში, როგორც სატრფოს ნანატრს!—მკაფიოდ დაესახა ქალს.

ამოიღო დამბაჩა, გულდასმით დაათვალიერა იგი: პატარა იყო, კოხტა, ექვსივე ტყვიით გატენილი. მძივებივით ესხა ერთიმეორე ტყვიები. ქალი მთლად მიიზიდეს იმ ძლიერებმა: თვითეულს მათგანს შეეძლო გაენთავისუფლებინა ის მძიმე, აუტანელ ტვირთისაგან, რომელსაც სიცოცხლეს ეძახიან. ისე ბუნებრივად ეჩვენა ეს ჰაზრი, რომ გაუკვირდა, რაღას ელოდდა აქამდის, რაღას ჰყოვნიდა. რა რჩებოდა ცხოვრებაში სანუკვარი, რომ დაჰნანებოდა იგი და ვერ გაებედნა შაღლო იმ ქვეყნად გამყვანებელი კარი? არაფერი, სრულებით არაფერი!

9.

ახალგაზრდობა რომ მიდამოში გაიფანტა და თვრებოდა ეშხით თუ ოცნებით, სხვები იქვე ჯგუფჯგუფად მასლაათობდნენ; ზოგსა კი სუფრა გაეახლებინა, ნადიმს განაგრძობდნენ გახალისებული ხალხი დროის მიმდინარეობას ვეღარ ამჩნევდა და მზის დაწვერამ ღა მოაგონა, რომ დრო იყო შინ წასვლისა. ბაბუცას დედამ მოათვალიერა ქალი და ვერ იპოვნა ტოლ-სწორში. იკითხა. როგორღაც უგუნებოდ გახდა წელან და შინ წავიდაო, მოახსენა გოგომ.

— რატომ მაშინვე არ მითხარი, ყმაწვილო!—უსაყვედურა მანდილოსანმა და გასწია შინაკენ.

ბაბუცას მამა კი მოლხინეთა შორის იყო, შინ წასვლაზედ ჯერ სრულებითაც არ ფიქრობდა ღვინით გაჟღენთილი.

— ეგ რა მოგსვლია, შვილო, ფერი აღარ გადევს?! ან რად გინდა ეგ გატენილი დამბაჩა, რომ ამოგიღია და ხელში ათამაშებ? ხომ იცი, როგორ მეჯავრება!—შენიშნა აშფოთებულმა დედამ და ჩამოართვა იარაღი.

ქალმა დაანება დედას იარაღი, ერთხანს შეჰყურებდა მას ჰაზრმიხდილი თვალებით და მერმე გატრიალდა თავის ოთახისაკენ. დედამ ნეკზე იკბინა: ცუდი ეჭვი დაებადა მას და დაჟინებით ჩაეკითხა ქალს:

— მითხარ, რა დაგემართა? რას გაჩუმებულხარ? იქნება რამე უწესო ჩაიდინე, შე გულმკვდრის შვილო! ვისთან იყავი? გოგიასთან?

ქალი მიხვდა, რა ეჭვიც შეჰპარვოდა მის დედას და მწარედ გაიღიმა.

— დამშვიდდი, დედი! ტყუილად მოგსვლია ეგეთი ფიქრები: შენს ქალს არც ერთი ვაჟი არ შეეხება, როგორც რამ ქვემძრომს საზიზღარს,—მიუგო ქალმა და გაჩუმდა.

ვეღარაფერი ათქმევინა დედამ ამის მეტი. ეხლა მას აღარც კი ესმოდა რა ამ ქვეყნად. გაჰშორდა სასოწარკვეთილი დედა, შიშმა აიტანა ის: მისი გული ახლა სხვა უფრო ბნელმა ეჭვმა შეიპყრო და გველისავით დაეხვია ზედ. მას მოსვენებას აღარ აძლევდა ქალის სახის გამომეტყველება და სიჩუმე.

ბაბუცას მამა კი არსად იყო: მხიარულთ სადილი ვახშმად გადაექციათ და აღარ ეთმობოდათ არც ნასუფრალი. ღამე თითქმის გატეხილი იყო, როცა შემოვიდა ვაჟკაცი. ხმაურობდა, მღეროდა, იძახოდა: თავი ისევ გაშლილ სუფრაზე ეგონა. დიასახლისს ჯერ არ უნდოდა ეთქვა ვაჟკაცისათვის, რაც მოხდა სახლში: შეზარხოშებული კაცი აბა როგორ დაუფიქრდებოდა საქმეს, ან რა წამალს დაადებდა მას?! მაგრამ როცა მეტად გამხიარულებულმა და გახალისებულმა კაცმა ხელი ჩასჭიდა მეუღლეს ბლომად ჩაჯირჯვებულ ლოყებში და მიიზიდა საჰთხვევლად თავისკენ, გაფიცხდა ქალი და მიახალა ქმარს:

— კარგი, თუ ღმერთი გწამს! გალექდებით და აღარა გესმით რა. გირჩევნია დაწყნარდე და თავს ჩაუფიქრდე: ლამის უბედურება დატრიალდეს ოჯახში.

---

*) იხ. „სახ. გაზ.“ № 9.1.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ასეთი ტიპის სკოლის მაგიერ, თუ კი საზოგადოებას სალსარი აქვს, უკეთესი იქნება პროგიმნაზია გიმნაზიად გავხადოთო. ისინი თავის აზრს იმ გარემოებით ასაბუთებდნენ, რომ ის ქალები, რომელნიც ოთხ კლასიან პროგიმნაზიის კურსს დაასრულებენ, სახელოსნო კურსებზე არ გადავლენ, რადგანაც მათი ფსიხოლოგია უკარნახებს, რომ საშუალო განათლება საუკეთესო სალსარია დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის; მაგრამ უმრავლესობამ სხვანაირად შეხედა საქმეს და საკითხი პრინციპიალურად მიიღეს. შემდეგ კრებამ ცოტა შესწორებით დაამტკიცა სკოლის წესდების გეგმა და შეუდგა საკითხს, თუ რა ენაზე იქნება სწავლება. კრების ნაწილმა წინადადება შემოიტანა, რომამ საკითხის გადაწყვეტა გადაიდოს იმ დრომდე, სანამ დამტკიცებული არ იქნება სახელმწიფო საბჭოს მიერ მოწონებული კანონ-პროექტი, კერძო სასწავლებლებში სწავლების ენის თავისუფლების შესახებ. დანარჩენნი კი ამტკიცებდნენ, რომ ამას დიდი მნიშვნელობა არ ექნება, რადგან, თუ ეს კანონ-პროექტი დამტკიცდა, მისი განხორციელება შემდეგაც შეიძლება. კრებამ გადასწყვიტა სწავლება ჯერჯერობით საერთო კანონს დაექვემდებაროს. მომავალი სკოლის ხარჯთ-აღრიცხვა ასეთია: შემოსავალს მოელიან 2400 მანეთს, ხარჯი კი ნავარაუდევია 3,080 მანეთი, 380 მანეთი დეფიციტია. პირველ წელს განზრახულია ბინა უფასოდ დაეთმოს და ზარალი 500 მანეთამდე შემცირდება.

დასასრულ კრებამ მადლობა გადაუხადა გამგეობის მთელ შემადგენლობას და მარიამ ვახტანგის ასულს მაჩაბელს „განათლების" საზოგადოების პროფესიონალურ განყოფილებას უსასყიდლოდ ხელმძღვანელობისთვის.

„კახეთი"-ს საზოგადოებაში

(შემდეგი *)

თავ. **ს. ვახვახიშვილი.** წესდების შესაფერ მუხლს ჰკითხულობს. საზოგადო კრება მხოლოდ არკვევს თუ რამდენი წევრნი უნდა იქნეს მიღებული ღვინის რაოდენობის მიხედვით. წევრების მიღება კი სრულიად დამოკიდებულია მიმღებ კომიტეტისაგან. შეიძლება კრება ამ გზას დაადგეს. მხოლოდ აქ დავადგინოთ, ღვინის რაოდენობა 100,000 ვედროს არ აღემატებოდეს.

ამ საკითხმა ხანგრძლივი კამათი გამოიწვია. ბევრი ამტკიცებს, რომ უმჯობესი იქნება, თუ საზოგადოებას რაც შეიძლება მეტი ღვინოები ექნება. ზოგნიც კი ამ აზრის წინააღმდეგნი არიან. კრებამ ხმის უმეტესობით დაადგინა: წესდების მიხედვით ამორჩეულ იქნეს წევრების მიმღები კომიტეტი, რომელიც გადასწყვეტს წევრების მიღების საკითხს. ღვინის რაოდენობა კი 100,000 ვედრამდე იქმნას გადაღებული.

თავმჯდომარე შემოტანილია წინადადება, სოფ. ახალშენში დაარსებულია ახალი საზოგადოება „ნორჩი", რომელსაც ერთიანად ჰსურს საზოგადოებაში წევრად შესვლა. წესდების ძალით არ შეგვიძლიან ასეთი იურიდიული ერთეულის წევრად მიღება. რადგანაც წესდებას ბევრი სხვა ნაკლიც აქვს, მას გადათვალიერება უნდა.

კრებამ, კამათის შემდეგ, დაადგინა: გამგეობას და სარევიზიო კომისიას მიენდოს წესდების გადათვალიერება; მასთან ერთად მიენდოს ამ ახალ საზოგადოების განცხადების განხილვაც. შემდეგ კი, მომავალ შემოდგომის საგანგებო კრებაზე, უნდა წარმოადგინონ დასაბუთებული მოხსენება.

კრება გადადის ღვინის დაფასების ახალი ინსტრუქციის პროექტზე.

გამგეობის წევრი **ი. ვაჩნაძე** კითხულობს ინსტრუქციას, რომელიც ძველიდან მხოლოდ ერთი მუხლით განსხვავდება: ეს მუხლი ამბობს: საზოგადოების ღვინის დამყენებელი ადგილობრივ დათვალიერების დროს იკვლევს ღვინის ალკოჰოლის რაოდენობას. ამ გეგმის გამო კამათი გაიმართა.

თავ. **ვ. ვაჩნაძე** იმ აზრისაა, რომ აჩქარებით ამ საკითხის გადაწყვეტა შეუძლებელია. გეგმაში აღნიშნულია, ღვინის შეფასება ბაზრის ფასის თანაბარად ხდებაო. მოვა ორი სამი ჩარჩი და იმათი შეძლეულ ფასის და მიხედვით უნდა შეაფასოთ ღვინოები. შეიძლება დღეს ერთი ფასი ჰქონდეს და რამდენიმე კვირის შემდეგ კი—სხვა. თუ შემფასებელმა დაიგვიანა, ერთი მეზობელი მეტს მიიღებს ვიდრე მეორე. ეს უსამართლობა იქნება ამხანაგების მიმართ.

გ. რცხილაძე. ორ გზას უჩვენებს—პირველია დამატებითი შეფასება, მეორე წესი კი ასეთი იქნება: გადაჭრილი ფასი იქნება; იმაზე ნაკლებ ღვინოს არ მიიღებენ თუ წლის ბოლოს შემოსავალი მეტი იქნება, მოგებიდან დამატებითი გაიყოფა ყველა წევრთა შორის.

თავ. **დ. ფავლენიშვილი.** როდესაც ჩვენ იქამდე მივაღწევთ, რომ საკუთარი ქონებით ვაწარმოებთ საქმეებს, მაშინ სხვა საქმეა, ეხლა კი ეს შეუძლებელია.

გ. რცხილაძე. რომელი ვალები აქვს საზოგადოებას ისეთი. სანამ ფრიდონოვის ვალს არ გავისტუმრებთ, თავ.-აზნაურობას არ ვაძლევთ. ამ ათ წელში ხომ გვექნება წევრებისაგან შემოსავალი,

თავ. **ლ. ვაჩნაძე,** ჩვენ ამ მხარეზე არ შევჩერებულვართ. ჩვენა გვსურდა, კერძო პირთა ინტერესები დაცული ყოფილიყო და საჩივრები არ მოგვსვლოდა. აი ეს არის გადასაწყვეტი: რით დავეხმაროთ ამ საქმეს?

თავ. **ს. ვახვახიშვილი.** მართლაც ყველაზე მეტად სუსტი მხარე ეს სწორი შეფასებაა. ღვინო იცვლება. დღეს ასეთია, ხვალ კი სხვანაირი. როგორ მოუაროთ ამ საკითხს? არის ერთი გზა, მაგრამ აქამდე არ ვლაპარაკობდით ამის შესახებ. წესდებაში აღნიშნულია, რომ შეფასებას გამგეობა ახდენს და არა შემფასებელი კომისია. შემფასებელი კომიტეტი კი მასალებს აგროვებს და გამგეობას აწვდის. ამ ცნობების მიხედვით მუდამ შეიძლება სწორი შეფასების მოხდენა. (შემდეგ ორატორი ვრცლად ასაბუთებს თავის აზრს ფაქტიური მასალით). თუ როგორ შეაფასებს გამგეობა, ეს უკვე სთქვა გ. რცხილაძემ. ისინი წლის ბოლოში დაინახავენ, როგორ მიდიოდა საქმე. გარდა ამისა ყურადღებაში ბევრი სხვა გარემოებას მიიღებენ და ყველათი ისარგებლებენ როგორ მისცემენ ფულს წლის განმავლობაში. ამას ჩვენი გამგეობის ყოველი წევრი, ან ღვინის გამკეთებელი, იტყვის თუ როგორია ამა და ამ ღვინის უმცირესი ფასი. და აი სწორედ ამ უმცირეს ფასს მივსცემთ, სანამ საბოლოო ფასი არ იქნება გამორკვეული.

თავ. **ვ. ვაჩნაძე.** წინააღმდეგია შემფასებლებისა ადგილობრივ.

გ. რცხილაძე. რადგან წესდების განხილვა განსაკუთრებულ კომისიას მიენდო, ეს საკითხიც მასვე გადაეცეს. კრებამ თავ. ს. ვახვახიშვილს სთხოვა მონაწილეობა მიიღოს კომისიის მუშაობაში.

კრება 3 საათზე დაიხურა.

---

*) იხ. „სახალხო გაზეთი" № 911.

წერილი ბაქოდან

(საკუთარ კორესპონდენტისაგან)

კვირას, 2 ივნის, მოხდა წლიური კრება წ.-კითხვის საზოგადოების ბაქოს განყოფილებისა. თავმჯდომარეობდა გამგეობის თავმჯდომარე თავ. იოსებ დადიანი. მთელი ნახევარი საათი მდივანი გამგეობის ანგარიშის კითხვას მოუნდა. თუმცა ანგარიში დაბეჭდილი იყო, მაგრამ წინ და წინვე ვერ დარიგდა, ამიტომ წევრებს არ შეეძლოთ მისი გაცნობა. კრებამ უსაყვედურა გამგეობას და დაავალა, შემდეგში ორი კვირით ადრე დაამზადოს ხოლმე ანგარიში.

როგორც ანგარიშიდანა სჩანს. 1912 წელს გამგეობის უმთავრესი ყურადღება ორ საქმეზე იყო მიქცეული—სკოლასა დ თეატრზე. სკოლა ოთხ განყოფილებას შეიცავს, ამასთან მესამე და მეოთხე განყოფილება ერთ შენობაშია მოქცეული და ორსავე განყოფილებას ერთი მასწავლებელი უძღვება. საანგარიშო წლის დამლევს სკოლაში ირიცხებოდა 67 მოსწავლე (51 ვაჟი და 16 ქალი: პირველ განყოფილებაში—29, მეორეში—25, მესამეში—9 და მეოთხეში—4. წლის განმავლობაში ბევრმა მოსწავლემ, უკვე მომზადებულმა, მოახერხა სხვა სასწავლებელში გადასვლა. წინა წერილში უკვე ავღნიშნე, რომ სწავლების საქმე სკოლაში კარგად არის დაყენებული.

სათეატრო საქმეს ბაქოში აწარმოებს გამგეობასთან არსებული სექცია, რომელიც დამოუკიდებლად მოქმედობს, გამგეობის კონტროლის ქვეშ. სექციაში, რომელსაც თავმჯდომარეობს გამგეობის ერთ-ერთი წევრი, ბ-ნი თედეშვილი, შედიან სცენის-მოყვარენი. საანგარიშო წლის განმავლობაში სექციამ გამართა 24 წარმოდგენა, რომელსაც დაესწრო 8000 კაცი, თითო წარმოდგენაზე, ორთა შუა რიცხვით, 333 კაცი. დაიდგა 13 ორიგინალური და შვიდი გადმოთარგმნილი და გადმოკეთებული პიესა. ამას გარდა სექციამ მოაწყო სამი საღამო—ა. ცაგარლის, გ. სუნდუკიანცის და ი. ჭავჭავაძის სახსოვრად. საანგარიშო წელს წარმოდგენებიდან შემოვიდა 3557 მან. 17 კაპ. ყოველგვარ ხარჯს გამოკლებით დარჩა განყოფილებას 290 მან. 07 კ.

გამგეობა, ცოტა არ იყოს, შიშით შეჰყურებს სათეატრო საქმეს: ეშინიან ზარალისა. სიფრთხილე კარგი თვისებაა, იგი წინდახედულების ნიშანია, მაგრამ მასაც თავისი საზღვარი აქვს. ანგარიშში გამგეობა სწერს: „მართალი, წარმოდგენები ნივთიერის მხრივ დიდ სარგებლობას არ იძლევიანო". როგორც ეტყობა, გამგეობა პატარასაც არა სჯერდება და დიდ ნივთიერ მოგებას მოელის ქართულ წარმოდგენებიდან ბაქოში! აშკარაა აქედან, რომ მცირეოდენი ზარალი სრულიად ხელს აღებინებს გამგეობას თეატრზე, ეს კი დიდად და დიდად სამწუხარო იქნება. გამგეობას, ეჭვი არ არის, მოეხსენება, რომ არსად მთელს რუსეთში თეატრი, იშვიათ გამონაკლისის გარდა, მოგებას არ იძლევა. თვით საიმპერატორო თეატრებს, რომელნიც დიდძალ ხალხს იზიდავენ, გაუჭირდებოდათ უსუბსიდიოდ არსებობა. მით უმეტეს ჩვენში: ვერც ტფილისში და ვერც ქუთაისში ქართული თეატრი ვერ იხეირებდა, გარეშე დახმარება რომ არ იყოს. დღემდე მაგალითი არა ყოფილა, რომ ტფილისსა და ქუთაისში წარმოდგენების შემოსავალს ხარჯი დაეფაროს. თეატრის სარგებლობა მოგებით არ განისაზღვრება და არსად მოგების თვალით არ უყურებენ თეატრს. მით უმეტეს ბაქოში არ უნდა უყურებდეს ამ თვალით გამგეობა, ბაქოში, სადაც ქართულ წარმოდგენებს უდიდესი მნიშვნელობა აქვს. წ.-კ. საზოგადოების ადგილობრივ განყოფილების გამგეობა, როგორც ქართულ კულტურულ საქმის გამძღოლი და ხელმძღვანელი ბაქოში, ერთნაირად უნდა ზრუნავდეს სკოლასა და თეატრისთვის და თუ პირველისათვის ფულს არ იშურებს, არც მეორისთვის უნდა დაიშუროს. არა თუ მოგებას არ უნდა მოელოდეს, გამგეობამ ყოველ წლივ ხარჯთ-აღრიცხვაში 500-დან 1000 მანეთამდე უნდა შეიტანოს ქართულ წარმოდგენებისთვის. სამწუხაროდ, გამგეობა სხვა თვალით უყურებს საქმეს და იმის შიშით, რომ მოგება არ მექნებაო, მომავალი სეზონისთვის აღარა ფიქრობს. განზრახული იყო, მომავალ სეზონისთვის მოეწვიათ დახელოვნებული რეჟისორი და მსახიობი ქალი, მაგრამ ეს განზრახვა ჩაილურის წყალს მისცეს.

წინა წერილში უკვე ვწერდი, რომ განყოფილებას შენობა ვერ დაუმთავრებია. ავღნიშნე მიზეზიც—კათოლიკეთა კალონია, რომელიც ადგილს არა სცლის და შენობაში დიდძალ ფულსა თხოულობს. საზოგადო კრებაზე ამ საგანზედაც ჩამოვარდა ლაპარაკი, მაგრამ ვერავითარ გადაწყვეტილ აზრს ვერ დაადგნენ. კრებამ ისევ გამგეობას მიანდო მოლაპარაკება და საქმის მოგვარება.

თუ არა ვცდები, მკითხველებს მოეხსენებათ, რომ ადგილობრივმა განყოფილებამ შუამდგომლობა აღძრა ქართული ეკლესიის აგების შესახებ, სადაც წირვა-ლოცვა ქართულად უნდა იყოს. ნება-რთვა უკვე დიდიხანია მიღებულია. ამ დღეებში სასულიერო მთავრობა შეეკითხა—როდის აპირებთ ქართულ ეკლესიის აგებასო. გამგეობა გადაჭრილ პასუხს ვერ აძლევს, რადგან, ზემოხსენებულ მიზეზის გამო, ხელ-ფეხ შეკრულია.

საზოგადო კრებამ თითქმის უკამათოდ დაამტკიცა წარსული წლის ანგარიში და მდგომარე წლის ხარჯთ-აღრიცხვა. შარშან განყოფილებას შემოსავალი ჰქონია 6069 მან. 16 კ., ხარჯი—5623 მან. 50 კაპ. პირველ იანვრისთვის დარჩენია 445 მ. 66 კ. წელს შემოსავალს მოელის 6445 მ. ამდენივე ხარჯი იქნება.

ზემოდ აღვნიშნე, რომ სკოლის მესამე და მეოთხე განყოფილება ერთ კლასშია მოთავსებული. გამგეობამ გადასწყვიტა, შემოდგომიდან მეოთხე განყოფილება გამოჰყოს და მოიწვიოს მეოთხე მასწავლებელი. ამ მასწავლებელმა გალობაც უნდა ასწავლოს.

სახელ. სათათბიროს და მინისტრების კონფლიქტი

მკითხველს ეხსომება, რომ, ფინანსთა სამინისტროს ხარჯთაღრიცხვის განხილვის დროს, უკიდურეს მემარჯვენეთა ბელადმა მარკოვ-მეორემ ფინანსთა მინისტრსა და მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ვ. კოკოვცევს ქურდი უწოდა, რამაც საერთო უკმაყოფილება გამოიწვია, როგორც მთავრობისა, ისე სახელმწ. სათათბიროს მხრით. მარკოვის სიტყვის დროსვე მთავრობის ყველა წარმომადგენელმა დემონსტრატიულად მიატოვა სათათბირო. მართალია სახ. სათათბიროს მაშინდელმა თავმჯდომარემ, თავ. ვოლკონსკიმ გააფრთხილა მარკოვი და შესაფერი შენიშვნაც მისცა მას, მაგრამ ამ ღონისძიებამ ვერ დააკმაყოფილა კოკოვცევი და მასთან ერთად მინისტრთა მთელი საბჭოც. მინისტრთა საბჭოს აზრით, ინციდენტი მხოლოდ მაშინ იქნება გათავებული, თუ სახ. სათათბიროს თავმჯდომარე ტრიბუნიდან დაჰგმობს მარკოვის საქციელს და სათათბიროც აშკარად დაუჭერს მხარს თავმჯდომარის განცხადებას. ასეთ მოთხოვნილებას წინააღუდგნენ დეპუტატები, რომელთა უმეტესობაც იმ აზრისაა, რომ მთელი სათათბირო ვერ იქნება პასუხისმგებელი კერძო პირის ამა თუ იმ საქციელისა, მით უმეტეს, რომ ინციდენტი თავის დროზე დაჰგმო სათათბიროს თავმჯდომარემ თავ. ვოლკონსკიმ.

მინისტრთა საბჭოში.

მარკოვის სიტყვის გამო მინისტრთა საბჭოს საგანგებო სხდომა ჰქონდა, რომელზედაც ირჩეოდა საკითხი მთავრობისა და საკანონმდებლო დაწესებულების ურთიერთობის შესახებ. რუსეთის გაზეთები შემდეგ ცნობებს გადმოგვცემენ ამ სხდომის შესახებ. როდესაც მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ კოკოვცევმა გამოსთქვა თვისი შეხედულება ამ ინციდენტის გამო, დაიწყო საზოგადო კამათი. მინისტრები ერთხმად აღიარებდნენ, რომ სათათბიროსა და მთავრობის წარმომადგენელთა შორის შეუძლებელი ურთიერთობა დამკვიდრდა. განსაკუთრებით ენერგიულად მსჯელობდა ვაჭრობის მინისტრი ტიმაშევი, რომელმაც შეიტანა წინადადება: სანამ სახელმწ. სათათბირო ბოლოს არ მოუღებს ამ ინციდენტს მარკოვის საქციელის ამა თუ იმ სახით დაგმობით, მინისტრთა კაბინეტის წევრებმა უარი უნდა სთქვან სათათბიროში მისვლაზე. აღიძრა აგრეთვე საკითხი მარკოვის სამართალში მიცემისა ცილისწამებისთვის, მაგრამ როდესაც იუსტიციის მინისტრმა განაცხადა, რომ მიუხედავად მკაცრი კილოისა, მარკოვის სიტყვაში ისეთი არა არის რა, რასაც ხელი მოეკიდოსო, მაშინ მინისტრთა საბჭომ ერთხმად დაადგინა: აღარ დაესწროს ხოლმე სახელმწ. სათათბიროს სხდომებს.

ვ. კოკოვცევი დ თავ. ვოლკონსკი.

სახელმწ. სათათბიროს კულუარებში ლაპარაკობენ, რომ თავ. ვოლ-

— უბედურება?! რას ამბობ, დედაკაცო, რა უბედურება?—შეეკითხა ელდანაკრავი ვაჟკაცი.

— რა და ის, რომ ბაბუცისთვის რაღაცა უწყენინებიათ ძალიან. რომ მოველ, ნაცრის ფერი ედვა ქალს და შენს დამბაჩას ათამაშებდა ხელში.

— რაო? დამბაჩას?! რას ამბობ, დედაკაცო?

— იმას ვამბობ, რომ ქალი შეშლილივით არის. მეშინიან რამე უბედურება არ აუტეხოს თავის თავს.

ეხლა კი მთლად გამოფხიზლდა ვაჟკაცი. შიშის ზარმა აიტანა ცოლქმარი. დაასკვნეს, როგორმე გამოეკითხნათ ქალისათვის, რა შეემთხვა მას, ან რასა ფიქრობდა, რომ მოეგვარებინათ საქმე. ამის შემდეგ იდუმალ თვალს ადევნებდნენ ბაბუცას, გარს უვლიდნენ, მაგრამ საიმისო რამ ვერა გაიგეს რა, ვერც შენიშნეს. ქალი გაჩუმებული იყო, ხშირად გაშტერებული შეჰყურებდა სივრცეს, ხოლო რა ხდებოდა მის გულში ან რა ფიქრს დაეძლივნა მისი ბეჩავი თავი, გაუგებარი იყო, მიუწდომელი. ხედავდნენ კი, რომ სახიფათო რამ გზას დასდგომოდა მათი ბაბუცა.

10.

ბაბუცა კი ბნელ ფიქრს მისცემოდა უსახოს: ცხოვრების ძნელი საიდუმლო აღმართოდა წინ მთელის თავის სიდიადე სიმძიმით, ხოლო მის გამოუცდელ გონებას გასჭირებოდა გარკვევა ან განმარტება, გონება მისი შიშით და ძრწოლით შეჰყურებდა მას ულონოქმნილი. ვერც შეეძლო გზა აექცია ამ საკითხისათვის ან რომელიმე ბილიკით გარს მოევლო მისთვის.

— რა ჰაზრი აქვს ჩემ სიცოცხლეს ან რაღას უნდა ვეძიებდე ცხოვრებაში. მინდა ადამიანური ცხოვრება, გულით მიყვარს იგი, მთელი ჩემი სურვილით მივისწრაფები მისკენ, ვერ კი შემიძლიან შევუერთდე ცხოვრების დენას: დაქოლვილი ვარ მისგან და წყევა ჩემი თითონ ქე დამაქვს ზურგით. ყველა მერიდება, უარმყოფს, ყველას ვეზიზღები; მეც უნდა უარვყო ცხოვრება, მოვერიდო მას, გავდგე მისგან და მხოლოდ შორიდან ვუმზირო, როგორ დანავარდობენ სიცოცხლის ყვავილოვან წალკოტში სხვები, გამჩენის საყვარელი შვილები. მე კი გერი ვარ ცხოვრებისა მოძულებული, გაკიცხულ-დამცირებული. არ გაჩენილა ჩემთვის არც ჯადოქარი, რომ მომსხნას სახე საზარელი, არც ოქროსქოჩრიანი ქაბუკი სულგრძელი, რომ ბედს დაჰმორჩილდეს და მომკიდოს ხელი. სასწაულიც, სულგრძელობაც მხოლოდ ოცნებაა, ზღაპარი; იგინი უკვალოდა ჰქრებიან ნამდვილი ცხოვრების წინაშე.

— უნდა გავიდე სიცოცხლისაგან, სამუდამოდ გავშორდე მას. მაგრამ, ღმერთო, როგორ მიყვარს იგი, როგორ მწყურიან! ნეტა მართლა განმეორდებოდეს დილოცვილი, რომ ოდესმე მაინც სრული სახის მქონი შევცურდე მის ტალღებში და დავეწაფო მის ნექტარს. საიქიოსაო. არა, სააქაოს!...

— რად, რად გამაჩინე, დამბადებელო, თუ ესე ადრე მომიკლამდი გულს, თუ არ გაიმეტებდი ჩემთვის არც ნამს ცხოვრების სიტკბოებისას?! მომისპობდი მაინც სურვილს ცხოვრებისადმი. შეუმართებელი რამ ძალა ჰყოფილხარ ბოროტი, მანადგურებელი, შემმუსრავი!

— იქნება ცოდვა მიმიძღვის მძიმე და მომეგო მოსაგებელი? არ მახსოვს, ჩემს მეხსიერებაში წაშლილია მისი კვალი. ან როდის მოვიქმედებდი ესეთ ძლიერ ცოდვას და ვის წინააღმდეგ? არა!... უნდა გავშორდე ცხოვრებას, მოვსთვლა ჩემი სიცოცხლის ყვავილი, მოვსპო.

მაშინ, იმ გამწვავებულ ღელვის დროს, ეს დასკვნა უეცრად იგრძნო ბაბუცამ და ამ გრძნობამ პირდაპირ გაიწვია ის სამოქმედოდ. კიდეც აასრულებდა საწადელს, დაემორჩილებოდა გრძნობას, თუ ხელი არ შეეშალათ მისთვის, თუ დედას არ წაერთმია იარაღი. იარაღსაც არ დაანებებდა დედას, მაგრამ მისმა შეძრწუნებამ ქალიც შეაკრთო, შეაშინა. ეხლა ცხად მსჯელობას მიჰყავდა ბაბუცა იმავ აუცილებელ დასკვნამდის, მაგრამ იგი აწ სავსებით ვეღარ ემორჩილებოდა ცივ მსჯელობას: სიცოცხლისადმი მისწრაფებას კვლავ გაეღვიძა მის ნორჩ არსებაში და ენანებოდა თავი სასიკვდილოდ.

— მაგრამ მოსპობის გარეშე სხვა გზა რომ არა გაქვს! სად შეჰქმნი შენთვის ახალ ცხოვრებას ან როგორ? მხოლოდ ერთი ხარ, ყველასაგან მიტოვებული, განწირული და როგორ შესძლებ იცხოვრო ამ ქვეყნად მარტოდ-მარტო? ხომ აკვნესდება დაობლებული სული შენი, რომ ჩაჰქნება და განილევა უტოლოდ დატოვებული ხორცი შენი და ჩაქრება, ჩაბნელდება არსება შენი განწირული.

ქალმა სცადა მიემართა ამ უკიდურეს მდგომარეობაში ყოვლად მოწყალე მამისათვის ზეციურისა, გარნა ლოცვას მხოლოდ პირი იტყოდა, ხოლო გული ცივი იყო, გაყინული; იგი უარჰყოფდა ვედრებას: მას აღარ სწამდა ყოვლადსახიერება გამჩენისა, რომელმაც ესე სტატიკად დასაჯა თვისი ქმნილება და აავნესა. ეხლა ცხადად ხედამდა ქალი, რომ ბოლოს მაინც გადასდგამდა გაბედულ ნაბიჯს, გონებისაგან შეუბრალებლად ნაკარნახებს; მაშინ ვეღარ შეაკავებდა მას ვერც დედის ელდა, ვერც უსაზღვრო სევდა მამისა, ვერც თუ მძლავრი ლტოლვილება არსებობისადმი. ჯერ კი მაინც ენანებოდა თავი, სიცოცხლით გაუმაძღარი თავისი თავი!

ამ სასტიკმა სულიერმა ბრძოლამ ნელნელა გამოლონა, თავი იჩინა, ღილი დაასვა ქალის სახეს: თვალები ჩაუღრმავდა და ბნელმა დაიწყო მათში კრთოლვა, სევდა ნაოჭად აჰყვა შუბლს, ბაგეს მთლად დაეკარგა ღიმილი სიხარულისა. მოისპო ქალმა ყოველივე გარეშე კავშირი და ურთიერთობა: სავსებით სავსე იყო მისი სული თავისივე უბედურობით, იგი დაუცხრომლად ებრძოდა თავისსავე ბნელ ჰაზრს თუ გრძნობას და სრულებით აღარ ეცალა სხვისთვის, მის გარეშე არსებულ ქვეყნიერებისათვის.

მშობლები სცდილობდნენ სხვა რაზედმე მიექციათ ქალის ყურადღება, რამე უცხო საგანზე შეეჩერებინათ მისი გულისყური, რომ ახალი გზა მიეცათ მის სულისკვეთებისათვის, მაგრამ ყოველივე ცდა ამაოდ დაურჩათ: აღარაფერი ასიამოვნებდა ქალს, არც აღარაფერი იზყრობდა მის ყურადღებას; ზურგი შეექცია მას ცხოვრებისათვის და სოფლით გაღმა გასაბიჯებლად წარემართა სვლა თვისი. ამ დროს იყო, რომ ერთმა უბრალო შემთხვევამ მოულოდნელად შესცვალა ბაბუცას ცხოვრება და გადაარჩინა მისი დედმამა საცოდავობის მოხილვას.

გაზაფხულის დამლევს ბაბუცაანთ ეწვია მათი ნათესავი ქალი თავის შვილებით. მისი ქმარი შორს მსახურობდა და კარგი ადგილი ეჭირა, მაგრამ სიკვდილის შემდეგ თითქმის ულუკმაპუროდ დატოვა თავისი ცოლშვილი. გაჭირებაში ჩავარდნილ ქალს ხელოვნური ყვავილების კეთება შეესწავლა და იმითი ირჩენდა თავს. ეხლა რამდენიმე თვით შეაფარა თავი ნათესავებს, თუმცა გულს ვერ ავალებდა მათ, რადგან ბედში მყოფს არ ახსოვდა ისინი. ოჯახი, მართალია, ისეთ გარემოებაში იყო ეხლა, რომ უცხოს მათ სახლში ადგილი არა ჰქონდა, მაგრამ რას იზამდა ქართველი კაცი? ხომ ვერ განდევნიდა სტუმრად მოსულ ხალხს! კიდევ კარგი, სტუმარი გამრჯელი გამოდგა და ხელი წაახმარა სახლს. მას თან მოეტანა ხელობისთვის საჭირო მასალა და მოცლილ დროს ყვავილებს ამზადებდა; ყუთები დაამსო ამგვარ ყვავილთა კონებით. იქაც აუჩნდა მუშტარი მის ნაწარმოებს. ნამდვილი ყვავილების მოვლა და გვარებაც ჰყვარებოდა: ბაღჩა ყვავილებით გაამსო იმ ზაფხულს.

ბაბუცა ჯერ ცივად შეხვდა მოსულებს, რადგან მათ შეუშალეს მას ცხოვრების ნირი, ხმაურობა შეიტანეს ოჯახში და დაურღვიეს განმარტოვება; შემდეგში კი შეეჩვია სტუმარს. ბაბუცას მოეწონა მანდილოსნის სუფთა ხელობა, ნელნელა ხელი შეაჩვია მას, შეისწავლა და ბოლოს კიდეც შველოდა როგორც ყვავილთა კეთება-მოგვარებაში, ისე ნაირის შერჩევა—მოგონებაში ხელსაქმემ შეუმჩნევლად გაართო ქალი, ჩაითრია, თავი შეაყვარა, ნიჭიც შეაჩნდა ამ ხელობაში.

შემოდგომაზე სტუმარი რომ წავიდა, ბაბუცას მისი ხელოვნება ხელში შერჩა და ახლა თითონ განაგრძო ის: სევდიან გულს აყოლებდა ამ საქმეს, თავს ირთობდა განმარტოვებული. ბოლოს მთლადაც შეიყვარა ეს ხელოვნება. გავიდა ხანი და შემთხვევით დაწყებული საქმე ქალის ხელობად გადაიქცა, რომელიც არამც თუ მხოლოდ ართობდა მას, დროთა მსვლელობას არ აგრძნობინებდა, არამედ ხეირსაც აძლევდა. მამისაგან მის სახელზე დატოვებული მცირე რამ მამული და ეს ხელოვნება შემდეგში სამარისი შეიქმნა თავისით ეცხოვრნა მას, სხვის ხელში შემაცქერელი არ გამხდარიყო. ქალს ეხლა შეგირდებიცა ჰყვანდა და საკმაოდ ფართეთ აწარმოებდა საქმეს. გაუმჯობესა კიდეც ეს ხელობა: იწერდა მის შესახებ დარიგებებს თუ ნახატებს, უკეთეს იარაღს. თითონაც ამშვენიერებდა ნაწარმოებს, მონურად არ ემორჩილებოდა ნიმუშებს თუ რჩევას; ხოლო უმთავრესი წყარო ამ გაუმჯობესობისა იყო ბუნებრივი ყვავილების შესწავლა რომელთაც ბაბუცა სურვილით უვლიდა ეხლა და ამრავლებდა ბაღჩაშიც, ოთახშიც.

ბაბუცა ეხლა აღარა ფიქრობდა სიკვდილზე, აღარც ისე ემწვავებოდა თვისი სიმახინჯე და ცხოვრებიდან განდევნა. მის ჩასანთქმელად აღელვებულ ზღვაში ცხოვრებისა მან ჰპოვა კუნძული რამ პაწაწინა და დაემკვიდრა მუნ; მისმა გზადახშულმა და აღშფოთებულმა სულმა ჰპოვა სავალი საკუთარი, ხოლო ხორცი წელთა განმავლობაში დაყუჩდა, დაღონდგილდა, დაეშვა და დაჰმორჩილდა თავის ბედს. გარეშენიც შეურიგდნენ მის სიმახინჯეს, შეეთვისნენ მის ყოფას: ბაბუცა ეხლა თავის ფარგალში იყო მოთავსებული, თავის ქარვაში ჩაქსოვილი: ეხლა ის ყვავილების მკეთებელი ბაბალე იყო და იქ კი სულ ერთი იყო, რა სახე ჰქონდა მას, ან რა ტანი. სულ სხვა საქმე იყო, როდესაც ის ცდილობდა ჩაბმულიყო ცხოვრების ტკბილ სიმღერაში და მწყობრ რხევა-ცეკვაში კეთილქმნილებთან ერთად და თანასწორი როდესაც ცდილობდა არ ჩამორჩენოდა მათ და წყრებოდა, რაკი მათთან ერთად ვერ ასდევდა სიცოცხლის სამხიარულო დენას. ეს სურვილი მიუწდომელი იყო მისთვის, ეს შეუფერებელი მისწრაფება უფრო მკაფიოდა ხატავდა მის სიმახინჯეს და სასაცილოდა ჰხდიდა მას. ეხლა სხვა იყო, იგი დამორჩილდა სასტიკ ბედს, ჩამოდგა ბედნიერთათვის სამხიარულოდ მორთულ გზიდან და დაულოცა იგი ცხოვრების ბედნიერ შვილთ. მართალია, ადამიანური მისწრაფება არ ჩაჰხშობია მას, არც ჩაჰქრობია ლტოლვილება ბუნებრივი, გარნა სხვა მხარეს შეუხვია მან, სხვა გზას დაადგა.

ვ. ბარნოვი.

(დასასრული იქნება)

კონსკიმ განუცხადა კოკოვცევს: აღვიარებ ჩემს შეცდომას და მზადა ვარ თავი დავანებო სათათბიროს თავმჯდომარის ამხანაგობას, თუ კი ინციდენტს ამით ბოლო მოეღებაო. კოკოვცევს უპასუხნია თურმე, რომ მინისტრთა საბჭოს ეს გარემოება ვერ დააკმაყოფილებს, რადგან ამ შემთხვევაში მნიშვნელობა აქვს არა პრეზიდიუმის პირად დამოკიდებულების მთავრობასთან, არამედ მთელი სახელმწიფო სათათბიროსაო.

დეპუტატების აზრი.

კონფლიქტის ამტეხი მარკოვ-მეორე ამბობს:

— რასაკვირველია, ლაპარაკიც კი არ შეიძლება იმის შესახებ, რომ მე უკანვე წავიღო ჩემი სიტყვები. თუ სათათბიროს თავმჯდომარის განცხადება ამ ინციდენტის შესახებ ზომიერებით იქნება გამოთქმული, მემარჯვენეები ტაშისცემით მიეგებებიან მას, რადგან ჩვენ სრულებით წინააღმდეგი ვართ სათათბიროს ტრიბუნიდან მთავრობის წარმომადგენლების შეურაცყოფისა. აქამდე უდიერად იხსენებოდნენ მხოლოდ შინაგან საქმეთა და სახალხო განათლების მინისტრებს, ახლა კი ცოტათი შეუფერხებელი რამ ითქვა არა ფინანსთა მინისტრისა არამედ ფინანსთა უწყების მოხელეთა შესახებ. უწყების წარმომადგენლები რომ გაბუტვის მაგიერ სათათბიროში მოსულიყვნენ და თავისი განმარტება წარმოედგინათ, უკეთესი იქნებოდა. ან რა შეურაცხყოფა იქნება იმის უმეტესი, რაც სათათბირომ დაადგინა ზაამურის ოლქში ბოროტ-მოქმედების შესახებ.

დეპ. ზამისლოვსკი:

— მემარჯვენეთა ფრაქცია მარკოვის სიტყვას ისე უყურებს, როგორც პოლემიკის დროს უნებურად წამოცდენილს, და არც არაოდეს დაადასტურებს ასეთ საქციელს.

ნაციონალისტების ბელადი ა. სავენკო:

— ნაციონალისტები ვერ მოიწონებენ მარკოვ მეორის მიერ წამოსროლილ სიტყვას, მაგრამ იგინი გადაჭრით წინააღმდეგი არიან იმისა, რომ სახელმ. სათათბირომ მუხლი მოიყაროს მთავრობის წინაშე და დაამციროს თავისი ღირსება.

დეპ. ალექსანდროვი, კადეტი:

— უცნაურია სწორედ მინისტრების მოთხოვნილება: სახელმწ. სათათბირომ ბოდიში მოიხადოსო. თუ თავმჯდომარემ დროზე ვერ მოუღო ბოლო ინციდენტს მოლაპარაკების შეჩერებით, რა შუაშია აქ მთელი სათათბირო. დღეს იგინი ითხოვენ ბოდიშის მოხდას თავმჯდომარის მოქმედების გამო, ხვალ კიდევ ახალს რამე გამოძებნიან, ზედ უფრო მძიმე მოთხოვნილებას დაგვიყენებენ და სხვ. საჭიროა თუ არა სახელმწიფო სათათბიროს ღირსების დაცვა.

ოქტომბრისტი სავიჩი:

— ამდენ ხანს იფიცებოდნენ ხოლმე გიმნაზიელები, სტუდენტები და მუშები, ახლა კი მინისტრთა საბჭოც გაიფიცა.

ფრაქციების თათბირი.

ამბობენ, რომ სახელმწ. სათათბიროს თავმჯდომარე როძიანკო, სანამ კოკოვცევს რაიმე პასუხს გასცემდეს, ფრაქციების თათბირს მოახდენს ინციდენტის გამოსარკვევად. შესაძლოა აგრედვე, რომ შესდგეს საგანგებო კრება სათათბიროს მამასახლისებისა, რომლებიც ფრაქციების აზრს წინდაწინვე შეამზადებენ საერთო თათბირისთვის.

უცხოეთი

ამერიკა

ყველა ისე ძალიან არის დაინტერესებული საზოგადოდ გარეშე პოლიტიკით და კერძოდ ბალკანეთის ამბებით, რომ ხშირად მხედველობიდან ეპარება ფრიად საყურადღებო მოვლენანი შინაური ცხოვრებისა. ერთი ამისთანა საყურადღებო მოვლენათაგანი ამერიკის პრეზიდენტის ვილსონის კანონ-პროექტები, ანუ ბილლები, როგორც თვით ამერიკაში ეძახიან. ვილსონის პირდაპირი ზედ-გავლენით ამერიკაში დღეს არკვევენ ორ კანონ-პროექტს: 1) სადამოჟნო ტარიფის შემცირებას 50 % და 2) შემოღებას შემოსავლის კვალობის გადასახადისას. ეს უკანასკნელი კანონ-პროექტი განზრახულია იმ აზრით, რომ გადასახადების მთელი სიმძიმე დააწვეს მცხოვრებთა ყველაზე უფრო შეძლებულ ნაწილს.

ერთის შეხედვით თითქოს ამ კანონ-პროექტებში არაჩვეულებრივი არა ფერია. მაგრამ, თუ მოვიგონებთ, რომ მრეწველობა უკიდურესად არის განვითარებული ამერიკაში, რომ არსებობს ტრესტები მსხვილი მწარმოებლებისა, რომელთა ხელშიაც არის არა მარტო წარმოება, არამედ პოლიტიკური ძალაც, დავრწმუნდებით, რომ ამგვარი კანონ-პროექტის წამოყენება ნიშნავს ტრესტების წინააღმდეგ ფრიად ძლიერ ომის გამოცხადებას. ტრესტები უსაშინელესი ორგანიზაციებია ამერიკაში. ვაჭრობამ და მრეწველობამ შეჰქმნა მილიარდები, კაპიტალმა მისცა ძალა მის პატრონებს და დაუმორჩილდა მათ მთელი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრება. რამდენად ძლიერია გავლენა ტრესტებისა, სჩანს იქიდან, რომ თითქმის ყველა საპრეზიდენტო კანდიდატს თავის სამოქმედო პროგრამაში შეაქვს ბრძოლა ტრესტებთან. მაგრამ მიდის დრო, ტრესტები ისევ კარგად ჰგრძნობენ თავსა და პრეზიდენტები, უმაღლესი წარმომადგენლები მთავრობისა, მარცხდებიან ბრძოლაში, რაც ხშირი მოვლენაა, მორჩილებით ქედს იხრიან ყოვლად მძლე მილიარდების წინაშე. ამისთანა პირობებში შემოღება გადასახადისა შემოსავლის კვალობაზე, რაც ტრესტებს მილიონებს ჩამოაცლის და გადასცემს სახელმწიფოს, ისეთი პირდაპირი ბრძოლის გამოცხადებაა, რომ იგი ღირსია აღნიშვნისა. ეს ორი კანონ-პროექტი პირდაპირ გულში ჰხვდება ამერიკის შეერთებულ კაპიტალს, რომელიც თავის მხრით უეჭველია დიდს ბრძოლას გამოუცხადებს კანონ-პროექტს. უკანასკნელი ცნობებით ამერიკაში, მართლაც, დაწყებულა კამპანია კანონ-პროექტების წინააღმდეგ. ტრესტების განკარგულებაში ბევრი გაზეთია, და, უეჭველია, ისინი შეეცდებიან სისტემატიური ხასიათი მისცენ ამ კამპანიას. ვნახოთ, რით გათავდება ეს საინტერესო, სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა.

საფრანგეთი

საფრანგეთში კარგა ხანია თავ-სატეხ საგნად იქცა საარჩევნო სისტემის რეფორმა. კანონ-პროექტის განხილვა სენატმა უკვე დაასრულა. წინად არჩევნები ოლქებადა ჰხდებოდა ახალი კანონის ძალით სიებით მოჰხდება. მაგრამ სენატმა არ მიიღო უმცირესობის უფლება. პალატამ რამდენჯერმე გამოსთქვა სურვილი, რომ უმცირესობის უფლებანიც იყოს უზრუნველყოფილი და მასაცა ჰყავდეს თავისი წარმომადგენლები პარლამენტში. სენატიდან კანონ-პროექტი ისევ პალატაში უნდა გადავიდეს. რადგანაც პალატის აზრი ამ საგნის შესახებ გამორკვეულია, არავის იმედი არა აქვს, რომ იგი სენატის შესწორებას დასთანხმდება და უმცირესობას წაართმევს უფლებას. მაშინ წესით, კანონ-პროექტი შემათანხმებელ კომისიას უნდა გადაეცეს. ყველა ეს კი ისეთს მდგომარეობასა ჰქმნის, რომ კანონ-პროექტის განხორციელება 1914 ლის საერთო არჩევნებამდე ვერ მოხერხდება.

ინგლისი

27 მაისს ინგლისის პარლამენტი, ეგრედ წოდებული ქვედა პალატა, კვლავ შეუდგა ირლანდიის ავტონომიის კანონ-პროექტის განხილვას. კამათი დაიწყო ასკვიტის სიტყვით. მას უნდოდა დაემტკიცებინა, რომ შესაძლებელია ირლანდიის ავტონომიის საკითხის საბოლოვო გადასაწყვეტად მივმართოთ აქტს პარლამენტის შესახებ. ეს ის აქტია, რომელმაც დიდი პარტიული ბრძოლა გამოიწვია ინგლისში და რომლითაც ლორდთა პალატის უფლებანი შესამჩნევად შეიზღუდა. ასკვიტმა მოისურვა პრაქტიკულად ესარგებლა აქტით, რომელიც დიდის ბრძოლის შემდეგ გაიყვანა ინგლისში.

„სანამ ამ საკითხს გამოვარკვევდეთ, სთქვა ასკვიტმა,—ურიგო არ იქნება მოვიგონოთ ირლანდიის ავტონომიის კანონ-პროექტის ისტორიაო. პალატაში კანონ-პროექტი შეიტანეს 1912 წლის აპრილს, პალატიდან გავიდა 1913 წლის იანვარს. ამ ხნის განმავლობაში მას ყოველის მხრიდან არჩევდნენ. მას ყოველთვის მხარს უჭერდნენ (ოპოზიცია იცინის). პირველი კითხვის დროს უმრავლესობა იყო 94, მეორე კითხვის დროს—101, მესამის დროს — 110. ირლანდიელების ხმებიც რომ ჩამოაშოროთ, ჩვენ მაინც საგრძნობელ უმრავლესობას მივიღებთ. მაშასადამე, კანონ-პროექტი მოსწონს ქვედა პალატის უმრავლესობას. შეიძლება მოწინააღმდეგეებმა მიპასუხონ: პალატას მოსწონს, მაგრამ ხალხს არ მოსწონსო. როდესაც ამას ამბობენ, მხედველობაში აქვთ დამატებითი არჩევნები. ხმები რომ ვიანგარიშოთ, აღმოჩნდება, რომ ავტონომიის მომხრეა 121.269, წინააღმდეგი კი—105,568“.

ამის შემდეგ ასკვიტი შეეხო ოლსტერის ოთხ საგრაფოს, რომლებიც ერთხმად დავავს იწვევდა. „ძალიან კარგი, ვთქვათ ირლანდიის ავტონომია გაიყვანეთ! რას უპირებთ ოლსტერის საგრაფოებსაო“, შეიძლება გვითხრან მოწინააღმდეგეებმა. ამაზე აი რას ვუპასუხებ: „ვთქვათ, უარჰყავით ირლანდიის ავტონომია, რას უპასუხებთ დანარჩენ ირლანდიას“. (ისმის ოპოზიციონერების ხმები: „საერთო არჩევნები“) საერთო არჩევნები? განა იგი სპობს დაბრკოლებას? (ხმები: „სცადეთ“). კარგია თქვენ თუ გაიმარჯვეთ, მაგრამ ჩვენ რომ გავიმარჯვოთ? მაშინ ოლსტერი შეურიგდება ავტონომიას? (ოლსტერელი მოწინააღმდეგე ავტონომიის ჰყვირის: „არა“) ხალხი, რომელმაც მოაწერა ხელი კოვენანტს, განა დაემორჩილება ინგლისის უმრავლესობის გადაწყვეტილებას, თუ უმრავლესობა მას არ ეთანხმება, მაშინ რა აზრი აქვს საერთო არჩევნების მოთხოვნას? რანაირია ნამდვილი მდგომარეობა? ირლანდიის საგრაფოს ნაწილს ან უმრავლესობას უნდა წინააღმდეგი გახდეს მთელი ინგლისის მცხოვრებთა სურვილისა. მთელს ქვეყანაში არ არის არც ერთი ისეთი საკანონმდებლო დაწესებულება, რომელიც ასეთს პრეტენზიებს დაემორჩილოს. ჩვენ ყოველივე ღონისძიება მივიღეთ, რომ დაცულ იქმნას სარწმუნოებრივი და სამოქალაქო თავისუფლება ოლსტერის საგრაფოებისა. მაგრამ ეს, თურმე, იმათთვის არა კმარა. მათ უნდათ ხელი შეუშალონ თავიანთ თანამემამულეთ, ისარგებლონ იმ უფლებით, რომლითაც ნება აქვთ ისარგებლონ და რაც დიდიხანია გადაწყვეტილი აქვთ!“

მე წინააღმდეგი ვარ სამოქალაქო ომისა და ამიტომ ამის პასუხისმგებლობას ვერ ვიკისრებო, დაასრულა თავისი სიტყვა ასკვიტმა.

მუშათა ცხოვრება

✦ პიროგოვის სახელობის ექიმთა კრების საქარხნო მედიცინის სექციამ მოისმინა ნიკოლსკის და ვინოკუროვის მოხსენებანი და მიიღო შემდეგი რეზოლუციები: 1) სექცია სთხოვს პიროგოვის საზოგადოების გამგეობას, რაც შეიძლება მოკლე დროში მოიწვიოს კრება შრომის დაცვის შესახებ. 2) სექცია პროტესტს უცხადებს სათათბიროსა და საბჭოს მიერ მიღებულ კანონს ნოქართა სამუშაო დღის შესახებ და აუცილებელ საჭიროებად მიაჩნია: 8 საათის სამუშაო დღის შემოღება, სრული შეწყვეტა ვაჭრობისა უქმეებში, ბავშვების არ მიღება სამუშაოდ. ამასთანავე სექცია სთხოვს გამგეობას, ნოქართა საკითხი შეტანილ იქმნას მომავალი კრების პროგრამაში.

✦ პეტერბურგის ქალაქის უფროსმა ას-ასი მანეთით დააჯარიმა რვა მუშა გაფიცვის წაქეზებისათვის. სამი მუშა კი სამ-სამი თვით დაატუსაღა ძალდატანებითი ზომების მიღებისათვის სტამბაში მუშაობის შესაწყვეტად.

✦ 31 მაისს გაიფიცნენ კრუგის ქარხნის მუშები პეტერბურგში. მოითხოვეს ხელფასის მომატება, ოსტატის იანსონის დათხოვნა, ზედმეტი მუშაობის მოსპობა და სხვ.

✦ იტალიაში, ქალაქ მილანში გამოცხადდა საყოველთაო გაფიცვა პროტესტის ნიშნად სასამართლოს დადგენილების წინააღმდეგ, რომელმაც დატუსაღება მიუსაჯა 17 მუშას. მუშებს დააბრალეს ძალმომრეობა შტრეიხბრეხერების წინააღმდეგ.

✦ ბაზელში შეტაკება მოუხდათ გაფიცულ მუშებსა და შტრეიხბრეხერების დამცველ პოლიციას. რამდენიმე კაცია დაჭრილი.

✦ ბელოსტოკში ლონდისკის ფაბრიკის ფეიქრებმა მუშაობა დაიწყეს. მათი მოთხოვნილება დააკმაყოფილეს, ხელფასი მოუმატეს.

✦ ამ ზაფხულს მოსკოვის გუბერნიის ყველა მაზრაში გლეხებისთვის გაიმართება სასოფლო-სამეურნეო კურსები. სწავლება უფასო იქნება.

✦ კერსტენის მაუდეულობის ფაბრიკის რამდენიმე მუშა ქალი დააჯარიმეს, რის გამო მუშები გაიფიცნენ და მოითხოვეს ჯარიმის მოხსნა.

✦ მთელი რუსეთის ნოქართა მეოთხე კრების საორგანიზაციო კომიტეტი აცხადებს, რომ ნოქრებმა დაუყონებლივ აირჩიონ წარმომადგენლები, რადგან კრების მონაწილეთა სია უნდა წარედგინოს მოსკოვის ქალაქის უფროსს არა უგვიანეს 11 ივლისისა.

სხვა და სხვა ამბავი

ცნობილ დეკ. ვოსტორგოვს ახალი აღმატება ებოძა: ღვთის მშობლის საფარველის სობოროს წინამძღვრად დაინიშნა მოსკოვში. ეს ადგილი ვოსტორგოვს წელიწადში 6,000 მან. მისცემს და მშვენიერ ბინას. როგორც მკითხველთ ეცოდინებათ, ვოსტორგოვი ამას გარდა სინოდის მისიონერად და ვოლგის ნაპირების ეპარქიების სამრევლო სკოლათა მეთვალყურედ არის და 10,000 მან. ჯამაგირს იღებს.

კავკავში დააბრუნეს ცნობილ ყაჩაღის **ზელიმ-ხანის** ცოლ-შვილი, რომელნიც ამ ორი წლის წინად თავ. გიორ. ანდრონიკაშვილის მოკვლის გამო ციმბირს იყვნენ გაგზავნილნი.

ცარიცინის მაზრაში სოფ. [illegible]-ში გლეხმა ევსიკოვმა [illegible]ბის გამო **დახოცა** და დაკეტილ ქოხში **დასწვა** მეზობელ კლიმოვის ოჯახობა, 3 ადამიანი.

1 ივნისს, ბრიუსელში გარდაიცვალა ბელგიელი გამოჩენილი ლიტერატორი და დრამატურგი კამილლ ლემონიე (1844—1913). ლემონიემ წერა 1863 წ. დაიწყო, სწერდა რომანებს, ფელეტონებს, დრამებს. რამდენჯერმე იყო სამართალში მიცემული ვითომდა საზოგადო ზნეობის შეურაცყოფისთვის, მაგრამ სასამართლო მუდამ ამართლებდა. მისი პიესა „ხელები“ ამას წინად ტფილისშიაც წარმოადგინეს ქართულ თეატრში.

დეპეშები

(დეპეშათა პეტერბ. სააგენტოსაგან).

5 ივნისი.

უცხოეთი.

სტამბოლი. სტამბოლის მახლობლად ენვერ-ბეის ჯარია დაბანაკებული ალბანეთიდან მოსულ აფიცრებს ებრძანათ, წავიდნენ იზმიდის მახლობლად და იქ დურაცოდან მოსულ ოსმალთა ჯარიდან პოლკები შეადგინონ. საჭიროებისამებრ ამ პოლკებს სტამბოლში გადაიყვანენ. ჯერჯერობით გამოურკვეველია, რამ გამოიწვია ეს სამარი მზადება. ფიქრობენ, ამ პოლკების დანიშნულება იქნება, შეებრძოლონ ჩატალჯის ჯარს, თუ ეს უკანასკნელი სტამბოლში შესვლას მოისურვებს.

ხანკოუ. რუსეთის კონცესიის წინ უეცრად ჩინელი გარდაიცვალა. ბრბომ მისი სიკვდილი რუსებს დააბრალა და ალყა შემოარტყა კონცესიას.

თეირანი. ყაზახთა ბრიგადა სალარ-ულ-დოულეს დაედევნა.

თეირანი. სალარ-უდ-დოულე ხელში დაუჭრიათ. ამბობენ, პრინცმა უვნებლად მიაღწია ქურდისტანსაო.

რუსეთი.

პეტერბურგი. აკრძალეს გაზეთი „ლუჩის“ № 127 და გაზეთ „პრავდას“ 127 ნომერი.

კიევი. ანტიოქიის პატრიარქი. გრიგოლი ოდესას გაემგზავრა. სრულიად რუსეთის გამოფენის საფრენმა სექციამ გადასწყვიტა მოაწყოს აეროპლანებისა და დირიჟაბლების მოდელების შეკრება.

კავკავი ნალჩიკის ოლქში მღელვარება მოხდა, რომელიც გამოწვეულია საბალახო ადგილებით სარგებლობის ახალი კანონით. ნაულუზოვოსა და აშაბოვის მცხოვრებნი რიცხვით 1000 კაცი, ოლქის უფროსის თხოვნის მიუხედავად სოფ. ზოლკას გაემგზავრნენ, საიდანაც ცხენების ჯოგის გადარეკა მოისურვეს. მათს მაგალითს სხვა სოფლელებმაც მიჰბაძეს. ადგილობრივი ჯარები გაჰგზავნეს.

რედაქტორ-გამომცემელი ა. ჭუმბაძე.

მატარებელთა მიმოსვლა

(ზაფხულობით)

18 აპრილიდან

(დრო აღნიშნულია ტფილისის საათით).

ტფილისიდან გადის.

ბაქოსაკენ: № 6, **ჩქარი** პლაცკ. დილ. 10 ს. 16 წ., № 12, **სამგზ.-საბარგო** ნაშუადღ. 3 ს. 35 წ., № 4, **საფოსტო** საღამ. 10 ს. 16 წ., № 8, **სამგზავ.** საღ. 6 ს. 29 წ., № 106, **ნარევი** მეოთხე კლასის ვაგონით, ტვირთის გადამზიდი სამგზავრო მატარ. სისწრაფით ღამის 4 ს. 23 წ.

ბათომისაკენ: № 3, **საფ.** დილ. 9 ს. 51 წ., № 11, დილ. 11 ს. 28 წ., (ივლის პირველ მაისიდან 14 ენკენისთვემდე). № 7, **საჩქარო** პლაცკ. ნაშ. 4 ს. 40 წ., № 9, **სამგზ.** ღამის 10 ს. 30 წ., № 107, **ნარევ.** მეოთხე კლას. ვაგონებით, ტვირთ. გადასაზ. სამგზ. მატ. სისწრაფით ღამ. 2 ს. 48 წ.

ბორჯომისაკენ: № 17, **საზ.** დილ. 8 ს 2 წ. (15 მაისიდან 14 ენკენისთვემდე). № 19, **სამგზავრ.** ნაშუადღ. 3 ს. 16 წ.

მცხეთისაკენ: № 65, **სააგარაკო** დილ. 8 ს. 46 წ., № 67, **სააგ.** ნაშუადღ. 2 ს. 43 წ. ეს მატარებლები ივლიან პირველ მაისიდან 14 ენკენისთვემდე კვირა-უქმე დღეობით. მატარებელი № 67, უქმის წინა დღეებშიაც. ტფილისში უკანვე დაბრუნდებიან № 65 შუადღ. 12 ს. 5 წ. და № 67 საღ. 8 ს. 28 წ.

ჯულფისკენ: **საფ.** № 4;3, შუადღ. 12 ს. 51 წ.

ყარსისკენ: **საზ.** № 14/13, ღამ. 12 ს. 46 წ.

ერევანისკენ: № 24;23, **საბარგ.-სამგზ.** საღ. 8 ს. 8 წ. მეორე და მესამე კლას. ვაგონებით.

ტფილისში მოდის:

ბაქოდან: № 3, **საფ.** დილის 9 ს. 1 წ., № 11, **საბარ.-სამგზ.** დილ. 10 ს. 28 წ., № 7, **სამგ.** მოსკოვი-კოზლოვი-რიაზანი-როსტოვი, საშუადღ. 3 ს. 53 წ., № 5, **საჩქარო** პეტერბურგი-მოსკოვი-კურსკი-ხარკოვი, საღ. 9 ს. 35 წ., № 106, **ნარევ.**, მეოთხე კლ. ვაგონებით, ტვირთის გადასაზიდი სამგზავრო მატარ. სისწრაფით ღამის 2 ს. 12 წ.

ბათომიდან: № 10, **სამგზ.** დილ. 8 ს. 40 წ. № 12, **საზ.** შუადღ. 2 ს. 29 წ. (პირველ მაისიდან 14 ენკენისთვემდე). № 8, **სამგზ.** საღ. 5 ს. 54 წ., № 4, **საფ.** საღ. 9 ს. 16 წ., № 06, **ნარევ.** ღამ. 2 ს. 12 წ.

ექიმი შ. ა. მიქელაძე.
იღებს **შინაგან და ბავშვთა სნეულებიან** ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 6 ნახ.– 8 ნახ. საათ. კახეთის ქ., № 6.

კბილის ექიმი ა. გ. ხოლოდაშვილი
იღებს ავადმყოფებს დილის 9—2 საათ. და საღამოთი 5—7 ს.-მდე. გოლოვინის პრ. № 12. 1334

ექიმ ნავასარდიანის
პირველი კერძო სამკურნალო
(დაარსებულია 1880 წელს) ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ.
ავადმყოფების მიღება ყოველ დღე, გარდა კვირისა.
დილით:
„606“ და „914“
11—12 ს. შეშხაპუნება კონსულტაციურად.
ბ. ა. ნავასარდიანი: 11—12 ს. ქირურგიული და ვენერიული (სიფილ.) ავად.
ბ. გ. აგასართვი: 1—2 ს. ბავშვთა შინაგანი ავადმყ.
კ. მ. ჩიქოვანი: 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.
ზ. ი. ბაბანასოვი: 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.
ნ. ტ. მულინი: 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.
მ. გ. ავეტისიანცი: 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.
ა. პ. კარაპეტიანცი: 12—1 ს. შინაგანი, საბავშვო და ყვავილის აცრა.
ექიმი ქალი **ო. ვ. ტერ-დავიდოვისა** 1—2 ს. საბებიო და ქალების ავადმყ.
საღამოთი:
მ. გ. ავეტისიანცი: 6—7 საათ.
რჩევა-დარიგება 50 კაპ. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.
სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი **ბ. ა. ნავასარდიანი.** 1004

სასანიტარო ექიმები
უბნები: 1, 2—ე მ. **ფომინა-ოსიპოვიჩისა** (ვაკეში, საკუთარი სახლი, ტელეფ. 461).
მე-4 და რუსის ბაზარში **ქრ. ლ. ქანთარიძე** (სოლოლაკი, ამაღლების ქ. ტელ. 517).
5—6ი. **მ. ზაბლუდოვსკი** (გრიბოედოვსკი, 10. ტელ. 645).
10, 11—12 **გ. ა. მირზოევი** (მიხეილის ქ., 174 ტელ. 327).
7—8 **გ. თ. ნათიშვილი** (ვორონცოვის ძეგლთან, მონუმენტის შესახვ. 5. ტელ. 487).
სასურველია, თვითონ მცხოვრებლები დაეხმარებოდნენ სასანიტარო წესიერების შემოღებაში და სადაცა-კი ამ მხრივ უწესობას შეამჩნევენ—სახლებში თუ სხვა ადგილებში სასანიტარო მოთხოვნილებათ არღვევენ, ცუდს საჭმელ-სასმელს აკეთებენ და ჰყიდიან, და სხ.—დაუყონებლივ ზემოდ დასახელებულ ექიმებს აცნობონ, წერილობით განცხადებები ყველას შეუძლიან გარდასცეს ქალაქის სავაჭრო პოლიციის კანტორებში: ვერის მოედანზე, რუსის ბაზარში, თათრის მოედანზე, კახეთის მოედანზე, ავლაბარში რიყის ქუჩაზე, 54, ელისაბედის ქუჩა 56 და მალაკის მოედანზე.

მასწავლებელი
ს. ა. გრიაზნოვი
ამზადებს გიმნაზიისა, კომერციულისა და სამიწისმზომლო სასწავლებლ., სასტატო ინსტიტუტისა და აფთიაქის შეგირდად, განმეორებითი გამოცდისათვის. მსურველთ მიიღებს [illegible] პანსიონზე.
ვერა, იზმაილოვის მიჩ. ხვევი, ბელინსკის ქუჩიდან სახლი 6, ბინა 8. 325

თელავში
კახეთის რკინის გზის ახლო იყიდება: **ვენახები, სასახლე და სახნავი მიწები და გაუტეხავი ტყე.**
მსურველთ შეუძლიანთ მიმართონ **ფოტოგრაფს ივ. ზ. ბარკალაიას** ქ. თელავში. 1216

მუდამ დღე მოგვდის
ახალ-ახალი
თევზის მრეწველნი
ძმ.
მტკვრისა თართი, ზუთხი, ლოქო, და სუდაკი.
ახალი მსხვილ მარცვლოვანი
ხიზილალა |ქილკა|
აგრეთვე ყოველ დროს იყიდება მაღაზიაში **მარინის დოში, იანი, შიპა, ზურგიელები**, სხვა ყოველ-ნაირი **თევზეულობა** და
კონსერვები.
ძეველოვები.
პუშკინის ქუჩა, საკუთ. სახ. № 9.
ტელეფონი № 712.

სნეულებს
☛ სპერმინ-პელია! ☚
სპერმინ-პელიათი მ. არაგებელ **ავადმყოფებს** ხშირად ატყუებენ მყვირალა რეკლამებით თესლეულების სითხეებზე, ამასთანავე ამ რეკლამებში გასაოცარი უსირცხვილობით ამახინჯებენ ფაქტებს და მოჰყავთ დასასაბუთებლად უცხოელ მეცნიერთა სახელები და შრომანი, რომელთაც **თავის დღეში არ უნახავთ მათი პრეპარატები.** ჩვენ მოვალეობად ვსთვლით, გავაფრთხილოთ ავადმყოფნი მოტყუებისაგან, რადგანაც მათ პრეპარატებს **საერთო არა აქვთ რა „სპერმინ-პელია“-სთან** და ხშირად შეიცავენ ჯან-საღობისათვის მავნე ნივთიერებას.
ბრძოლაში: **ნევრასტინიასთან, სქესობრივ უძლურებასთან, მოხუცებულთა სიმჩატესთან, ისტერიასთან, ნერვალოგიასთან, სისხლნაკლულებასთან, ჭლექთან, სიფილისთან, ვერცხლის წყლით წამლობის შედეგებთან, გულის ავადმყოფობასთან, (გადაჭარბებული სიმსუქნე, გულის კლეროზი, გულის ფრიალი, გულის-ცემა, მიოკარდიტი), არტერიო სკლეროზთან, ლოთობასთან, ხერხემლის გამოფიტვასთან, სიდამბლესთან, ავადმყოფის შემდეგ სისუსტესთან, დაქანცულობასთან და სხვ.**, მხოლოდ **სპერმინ პელიამ** მიაღწია ჩინებულ შედეგებს, რასაც ჰმოწმობენ მთელ მსოფლიოს მეცნიერნი და მკურნალნი.
✦ საჭიროა ყურადღება მიაქციოთ სახელზე **„სპერმინ-პელია“** ✦ და უკუჰყაროთ ყოველგვარი სიყალბე და სითხეები სხვა და სხვა სახელებით, რომელთა მავნებლობაზე ცალკე ბროშურაა გამოცემული; ბროშურა უფასოდ ეგზავნებათ „სპერმინს“ ახ. ლიტერატურასთან ერთად.
„სპერმინ-პელია“ იყიდება ყველა აფთიაქსა და სააფთიაქო მაღაზიაში.
ორგანოთერაპევტის ინსტიტუტი პროფეს. ექიმი „პელი და ძმ-ბი“.
მისი იმპერატორობითი უდიდებულესობის **სახაზინის კარის მოვაჭრე.**
Метцль. 69730. **ს.-პეტერბურგი.** 1188

სამკურნალო გოგირდის აბანო „ფანტაზია“,
ვორონცოვის ქ. ტრამვაის ლიანდაგზე ახლად შეკეთებული მოწყობილია ყოვლ მხრივ და წესიერად.
კომფორტი, ელექტრონული განათება. გვაქვს სხვა და სხვა ფასიანი ნომრები და აგრეთვე საზოგადო სათავად-აზნაურო განყოფილება—30 კ.—ხოლო მამაკაცებისა—15 კ. ყველა ნომრებსა და განყოფილებაში ორ-ორი მილია 29% და 35%, ცხელი და ცივი, გოგირდის სიმრავლე საუკეთესო საშუალებაა ქარებისა, ბუასილისა, სისხლნაკლებულობისა და სხვა დაძველებულ სნეულებათა. გვაქვს მოწმობა ტფ. სამხ. ლაბორ. ანალიზისა. გვყავს გამოცდილი მექისე ქალები და კაცები. მსურველთ შეუძლიანთ აბონიმენტები შეიძინონ, ტელეფონი № 115.
1674 **კნ. სუმბათოვებისა.**

ტფილისი, მუხრანის ქუჩა, სტამბა „შრომა“.